ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი 1

# პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა – შესავალი

OSCE ODIHR

# ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი 1: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა – შესავალი

Office for Democratic Institutions and Human Rights

OSCE ODIHR

**სამადლობელი:** ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) მადლობას უხდის აილა ვან ჰილ მერდანოვიჩს, ODIHR-ის საერთაშორისო კონსულტანტს, პირველი ინსტრუმენტის (პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა – შესავალი) მომზადებისთვის.

ინსტრუმენტების შემუშავებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და მოწოდებული რჩევებისთვის ODIHR მადლობას უხდის აგრეთვე მკვლევრებს, პრაქტიკოსებსა და ექსპერტებს აკადემიური წრეებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ეუთოს რეგიონიდან და სხვა რეგიონებიდან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წინამდებარე ინსტრუმენტისთვის გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) წარმომადგენლებისა და უფსალას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ელინ ბიარნეგარდის წვლილი წერილობითი უკუკავშირის სახით.

*ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები*
*ინსტრუმენტი 1: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა – შესავალი*

ვარშავა, 2022 წელი
OSCE/ODIHR

გამოქვეყნებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ.
მიოდოვას ქ. 10
00–251 ვარშავა
პოლონეთი
www.osce.org/odihr

© OSCE/ODIHR 2022 ყველა უფლება დაცულია. ამ პუბლიკაციის შინაარსი შეიძლება თავისუფლად იქნას გამოყენებული და კოპირებული საგანმანათლებლო და სხვა არაკომერციული მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ამგვარი გამოყენებისას წყაროდ მიეთითება OSCE/ODIHR.

ISBN: 978-92-9271-091-0

დიზაინი: Michael Lusaba
ილუსტრაციები: Aida Herceg

SCAN ME

# სარჩევი


**შესავალი** **01**

**ზოგადი მიმოხილვა** **03**

**ევროპის რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა – შესავალი** **07**

რა არის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა? 12

პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი და გავლენა 18

**პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური გზები** **24**

პრევენცია 24

დაცვა 27

სამართლებრივი დევნა 32

კოორდინირებული პოლიტიკა 35

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია – თითოეული მხარის როლი 36

**დამატებითი საკითხავი და გამოყენებული ლიტერატურა** **28**

# შესავალი

ეუთო მიიჩნევს, რომ ქალთა მიმართ ნებისმიერი ფორმით ძალადობა ქალების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი, თანაბარი და ეფექტური მონაწილეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლებაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ადამიანის უსაფრთხოებას. იგი გავრცელებულია ეუთოს რეგიონში და განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს, თუმცა, არა მარტო მათ. ქალები ძალადობის სამიზნე ხდებიან არა მხოლოდ მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო, არამედ იმ მიზნითაც, რომ მოქმედ თუ მომავალ პოლიტიკოს ქალებს უარი ათქმევინონ პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვაზე. ძალადობა არ არის ის ფასი, რაც ქალებმა მათი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით სარგებლობისთვის უნდა გადაიხადონ. ინდივიდუალურ ტანჯვასა და ქალთა უფლებების დარღვევასთან ერთად, ამგვარი ძალადობა ასუსტებს დემოკრატიულ მმართველობას, პოლიტიკურ პლურალიზმსა და საჯარო ინსტიტუტების ინკლუზიურობას.

ეუთოს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ქალთა უფლებების სრული და თანაბარი განხორციელება არსებითია უფრო მშვიდობიანი, განვითარებული და დემოკრატიული ეუთოს რეგიონის არსებობითვის. ამავე დროს, ყველა სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, აღმოფხვრას ქალთა მიმართ დისკრიმინაცია, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობა. სახელმწიფოებმა ქალთა მიმართ ნებისმერი ფორმის ძალადობის კრიმინალიზება უნდა მოახდინონ, უზრუნველყონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, ძალადობის სამიზნეთა მხარდაჭერა და დაცვა და პასუხი აგებინონ მოძალადეებს.

ეუთოს წევრ სახელმწიფოებთან ერთად, ODIHR მოწოდებულია, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა თანაბარ და მნიშვნელოვან მონაწილეობას. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია არსებითია ამ მიზნის მისაღწევად. ODIHR მზად არის, წევრ სახელმწიფოებსა და მათ დემოკრატიულ ინსტიტუტებს მხარი დაუჭიროს, რომ კანონებისა და პოლიტიკის შემუშავების, შესაძლებლობების განვითარების, ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით სისტემატურად დაუპირისპირდნენ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას.

წინამდებარე ინსტრუმენტები მოიცავს რეკომენდაციებს კანონმდებლების, მთავრობების, პარლამენტებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის, ასევე, გზამკვლევს სამოქალაქო საზოგადოებისა და ძალადობის მსხვერპლი ქალი პოლიტიკოსებისთვის. აქ თავმოყრილია არსებული დეფინიციები და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კარგი პრაქტიკების ნიმუშები სხვადასხვა ქვეყნებიდან. მოცემული ინსტრუმენტები საერთაშორისო სტანდარტებსა და ეუთოს ვალდებულებებს ეფუძნება.

იმედი მაქვს, ამ პუბლიკაციას ფართოდ გამოიყენებენ ეუთოს რეგიონის პოლიტიკოსები, პარლამენტები, პოლიტიკური პარტიები, გენდერული თანასწორობის დამცველები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიპოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად და გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად, რათა პოლიტიკა უსაფრთხო და სამართლიანი გახდეს მამაკაცებისა და ქალებისთვის, მთელი მათი მრავალფეროვნებით.

**მატეო მეკაცი**
ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დირექტორი

# ზოგადი მიმოხილვა

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა[1] მზარდ პრობლემას წარმოადგენს ეუთოს რეგიონსა და მთელ მსოფლიოში. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა უფრო ფართო – ქალთა მიმართ საყოველთაოდ გავრცელებული ძალადობის – პრობლემის ნაწილია. აღნიშნულ გამოწვევას კიდევ უფრო ამძაფებს არსებული გლობალური პოლიტიკა. ვითარებაზე უარყოფითად აისახა აგრეთვე კორონავირუსის (COVID-19) პანდემია, ეუთოს ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში დემოკრატიული პროცესებისა და კანონის უზენაესობის სფეროში ვითარების გაუარესება, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მხრივ უკან გადადგმული ნაბიჯები. აქედან გამომდინარე, გაიზარდა პოლიტიკური პოლარიზაცია, შეუწყნარებლობა, ქალთმოძულეობა და ძალადობა, როგორც ონლაინ, ისე რეალურ სივრცეში.[2]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა და პოლიტიკის სფეროში ქალთა მონაწილეობის ბარიერი, სერიოზულ გამოწვევას უქმნის დემოკრატიას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას ეუთოს წევრ სახელმწიფოებში. როდესაც ქალები კუთვნილ ადგილს იკავებენ პოლიტიკაში, მათ პოლიტიკაში ყოფნას, მოსაზრებებსა და ლეგიტიმურობას ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ, მამაკაცების პრივილეგირებული მდგომარეობისა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით.[3] ქალთა მიმართ ძალადობას საფუძვლად ედება არა მათი პოლიტიკური შეხედულებები, არამედ კონკრეტულად ის ფაქტორი, რომ ისინი ქალები არიან და მიზნად ისახავს მათი პოლიტიკური საქმინობისთვის ხელის შეშლას. ეს საზიანოა არა მხოლოდ პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის, არამედ მათი ახლობლებისთვის და ასევე იმ ქალებისთვის, ვინც მომავალში აპირებს პოლიტიკურ საქმიანობას.[4] მოძალადეთა უმრავლესობა მამაკაცია, ხშირად – იმავე პოლიტიკური პარტიიდან.[5]

1 ამ ინსტრუმენტების ფარგლებში 'ქალები პოლიტიკაში' მოიცავს პოლიტიკაში ოფიციალურად ჩართულ ქალებს, მაგ., კანდიდატებს, პოლიტიკური პარტიების წევრებს, ასევე, არჩეულ და დანიშნულ ოფიციალურ პირებს.

2 „ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა: მზარდი კრიზისი", გენდერის საკითხებში ეუთოს საპრლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენლის ყოველწლიური ანგარიში, 2021, გვ. 5, <https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/4247-2021-report-by-the-special-representative-on-gender-issues-violence-against-women-journalists-and-politicians-a-growing-crisis/file>.

3 ჯულიანა რესტრეპო სანინი, „სამართალი და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა", წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერების საერთაშორისო ასოციაციის 24-ე მსოფლიო კონგრესზე, პოზნანი, პოლონეთი, 23-28 ივლისი, 2016. <https://16dayscampaign.org/wp-content/uploads/2019/06/law_and_violence_against_women_in_politics.pdf>.

4 პოლიტიკის მეცნიერებმა ასევე სიღრმისეულად შეისწავლეს პოლიტიკური ძალადობა და მისი გენდერული ასპექტები. პოლიტიკური ძალადობა ზიანს აყენებს აგრეთვე პოლიტიკოსების წარმომადგენლობას, მოსაზრებების გამოხატვასა და საქმიანობას პოლიტიკაში. იხ., მაგალითად, გაბრიელ ბარდალი და სხვ., "პოლიტიკური ძალადობის გენდერული შემადგენელი. მოტივების, ფორმებისა და გავლენის გამოაშკარავება", *Political Studies*, 68.4, გვ. 916-935, <https://doi.org/10.1177/0032321719881>.

5 „Not the Cost: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შეჩერება. ახალი მოწოდება ქმედებისაკენ", ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 6 მაისი, 2021, გვ. 46. <https://www.ndi.org/sites/default/files/NTC%202021%20ENGLISH%20FINAL.pdf>.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი სათანადოდ არ არის შესწავლილი; მწირია ასეთი შემთხვევების შესახებ ინფორმაციაც, თუმცა ამ პრობლემის მასშტაბი ფართოა. ქალთა მიმართ ძალადობა კიდევ უფრო მწვავედ აისახება ქალთა ისეთ ჯგუფებზე, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ან ასაკის გამო დისკრიმინაციის რისკის წინაშე მყოფი ქალები. ძალადობა ვლინდება სხვადასხვა ფორმით – ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სიმბოლური (იხილეთ ცხრილი ქვემოთ). ეს უკანასკნელი მეტწილად ონლაინ სივრცეში დომინირებს. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა განსხვავდება პოლიტიკური ძალადობისგან, რადგან მას გენდერული საფუძველი აქვს, ხშირად სექსუალიზებულია და მსუსხავი ეფექტი ახასიათებს, რაც აბრკოლებს პოლიტიკაში ქალთა არსებული და მომავალი თაობების წარმომადგენლობას, მოსაზრებების გამოხატვასა და საქმიანობას. ამას გარდა, იგი საზიანო ზეგავლენას ახდენს პლურალიზმზე და სხვადასხვა საჭიროებების, პრობლემებისა და თემების ჩართვაზე პოლიტიკურ დღის წესრიგში.

ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „აკისრიათ ვალდებულება, გაატარონ ჯეროვანი ღონისძიებები და იზრუნონ ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის პრევენციაზე, ძალადობის შემთხვევების გამოძიებასა და ძალადობის ჩამდენი პირების დასჯაზე, ასევე, დაზარალებულთა დაცვაზე, ხოლო ... აღნიშნულის განუხორციელებლობით ირღვევა და ილახება ან ბათილდება ქალების და გოგონების მიერ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა."[6] ანალოგიურად, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) ზოგადი რეკომენდაცია №35 ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ვალდებულებას, „გაატარონ ღონისძიებები ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ..., მათ შორის, ისეთი კანონების, ინსტიტუტებისა და სისტემის არსებობით, რომელიც მიმართული იქნება აღნიშნული სახის ძალადობის წინააღმდეგ", და იმავდროულად აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოს მხრიდან ყველა სათანადო ღონისძიების განუხორციელებლობა გენდერული ნიშნით ძალადობის ქმედებების პრევენციისთვის..., ან გამოუძიებლობა, დამნაშავეთა სამართლებრივი დევნისა და დასჯის განუხორციელებლობა, და მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის ზიანის აუნაზღაურებლობა წარმოადგენს მდუმარე ნებართვას ან წახალისებას ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის ჩასადენად. ზემოაღნიშნულის განუხორციელებლობა ან უმოქმედობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევებს."[7] CEDAW-ის კომიტეტი აგრეთვე ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს

6 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 15/05 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, ეუთო, 6 დეკემბერი, 2005, პრეამბულა, <https://www.osce.org/files/f/documents/c/8/17451.pdf>.

7 ზოგადი რეკომენდაცია №35, მუხლი 2, CEDAW, გაერო, 26 ივლისი, 2017. <https://digitallibrary.un.org/record/1305057?ln=en#record-files-collapse-header>.

გენდერული ნიშნით ძალადობას, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და CEDAW-ის წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ იურიდიული ვალდებულება, განახორციელონ ყველა სათანადო ღონისძიება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის, აღმოსაფხვრელად.[8]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლისათვის აუცილებელია მიზანმიმართული საქმიანობა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ღონისძიებების გატარება. ეუთოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ, „უზრუნველყონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, ეფექტური გამოძიება და დამნაშავეთა სამართლებრივი დევნა, ასევე, უზრუნველყონ (...) ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა (...) სათანადო დაცვა."[9] წევრი სახელმწიფოების მიერ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულების აღებასთან ერთად, ამ ფენომენის დამარცხებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ, ინდივიდუალურადაც და ერთადაც, კონკრეტულ ინსტიტუტებს, როგორიცაა პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რაც გულისხმობს მათი ინსტიტუციური ჩარჩოსა და პასუხისმგებლობების ფარგლებში ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას და დაზარალებულ პირთა მხარდაჭერას.

სხვა ორგანიზაციებისა და პრაქტიკოსების მსგავსად, უკანასკნელ წლებში ეუთომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ძალისხმევა გააძლიერა, ორგანიზაციის უფრო ფართო მანდატის ფარგლებში, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობას, მათ შორის, არჩევნებზე დაკვირვების მეშვეობით. ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მოცემული ინსტრუმენტები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული ეუთოს გაძლიერებული ძალისხმევის ერთ-ერთი მაგალითია.

ეუთოს რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეს ინსტრუმენტები მიზნად ისახავს ეუთოს წევრი სახელმწიფოების ცნობიერების ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების შესამუშავებლად. იგი ხუთ დამოუკიდებელ ინსტრუმენტს მოიცავს:

8 ზოგადი რეკომენდაცია №19 და CEDAW კონვენციის მუხლი 1 და 2, გაერო, CEDAW, 1992.

9 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 4/18 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, ეუთო, 7 დეკემბერი, 2018, მუხლი 1, <https://www.osce.org/files/f/documents/e/e/406019.pdf>.

## ODIHR-ის ინსტრუმენტები ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად

- **ინსტრუმენტი 1 – შესავალი** განმარტავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას და აღწერს ეფექტური პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, დამნაშავეთა სამართლებრივი დევნისა და პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებს.

- **ინსტრუმენტი 2 – პარლამენტებისთვის** წარმოადგენს მონაცემებსა და კარგი პრაქტიკების ნიმუშებს პარლამენტებისთვის სახელმძღვანელოდ და პარლამენტში და პარლამენტს მიღმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების შესამუშავებლად.

- **ინსტრუმენტი 3 – პოლიტიკური პარტიებისთვის** ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს, გადადგან ნაბიჯები თავიანთ სტრუქტურებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

- **ინსტრუმენტი 4 – სამოქალაქო საზოგადოებისთვის** მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

- **ინსტრუმენტი 5 – პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის** წარმოადგენს გზამკვლევს ამ სახის ძალადობის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზარალებული ქალებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ მიიღონ დახმარება და დაცვის საშუალებები.

მოცემული ინსტრუმენტები ეყრდნობა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებულ დეფინიციებს, საერთაშორისო ნორმატიულ ჩარჩოს, ეუთოსა და რეგიონულ ვალდებულებებს და კარგი პრაქტიკის მაგალითებს. მასალა ემყარება სამაგიდო კვლევას, მცირემასშტაბიან გამოკითხვებს, კოლეგებსა და ექსპერტებს შორის მოსაზრებათა ურთიერთგაცვლას, იმ ქალი პოლიტიკოსების გამოცდილებას, ვისაც ამგვარი ძალადობა გამოუცდია (ინსტრუმენტი 5) და ეუთოს პროგრამულ გამოცდილებასა და თანამშრომლობას. ეს უფრო პრაქტიკულ სახელმძღვანელოა, ვიდრე აკადემიური ნაშრომი. ODIHR აცნობიერებს, რომ აღნიშნული სახის ძალადობაზე პასუხისმგებელი მხარეების ან დაზარალებულ პირთა წრე უფრო ფართოა, ვიდრე ამ ინსტრუმენტებში განსაზღვრული ოთხი ჯგუფი და შესაძლოა, მომავალში თავისი სამიზნე აუდიტორია გააფართოოს, მაგალითად, იმისათვის, რომ განიხილოს მედიის მნიშვნელობა ან მამაკაცების როლი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

# ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა – შესავალი

#MeToo მოძრაობისა და თანმდევი საჯარო დებატების კვალდაკვალ, პოლიტიკაში და, ზოგადად, საზოგადოებრივ სფეროში ქალთა მიმართ ძალადობამ მეტი ყურადღება მიიპყრო. ქალი პოლიტიკოსები, საჯარო თანამდებობის პირები, ჟურნალისტები და ადამიანის უფლებათა დამცველები საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ძალადობას განიცდიან, რაც „ეუთოს რეგიონში გაზრდილი პოლიტიკური პოლარიზაციისა და ფართოდ გავრცელებული ქალთმოძულეობის შესაძლო თანაკვეთას ასახავს".[10] ეუთოს რეგიონში ან მის გარეთ არ ხდება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების შესახებ მონაცემების სისტემატიური შეგროვება. ამის მიუხედავად, საკითხის მნიშვნელობა გაიზარდა, ვინაიდან ქალები უფრო ღიად და საჯაროდ საუბრობენ ამ პრობლემის შესახებ, მედია უფრო ხშირად აშუქებს შემთხვევებს, მთავრობები უფრო ძლიერ პოლიტიკურ ვალდებულებებს იღებენ და გარკვეულ პრაქტიკულ ღონისძიებებს ატარებენ პრობლემის გადასაჭრელად, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო ნორმატიულ ჩარჩოს აძლიერებენ და ამ თემის შესახებ ცოდნის გაცვლას უფრო მეტად უწყობენ ხელს.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც გენდერული ნიშნით ძალადობის კონკრეტული ფორმა, სამიზნედ ირჩევს ქალებს არა მათი პოლიტიკური შეხედულებების, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ქალები არიან და, საბოლოო ჯამში, მათი ხმის ჩახშობასა და საჯარო სფეროში აქტიურობის შეზღუდვას ისახავს მიზნად.[11] ამგვარი შემთხვევები დაზარალებულ პირთა პირად უსაფრთხოებას უქმნის რისკს და ამავე დროს, ქალებს, როგორც ქალებს, აფერხებს, მონაწილება მიიღონ პოლიტიკაში და მოიპოვონ ძალაუფლება.[12]

10 აილა ვან ჰილ მერდანოვიჩი, „ეუთოს რეგიონში პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაძლიერება", ეუთო/ოდირის განსახილველი დოკუმენტი ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის 65-ე სესიისთვის (CSW 65), ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა, 1 ოქტომბერი, 2020, გვ. 4, <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/CSW/65/EGM/Van%20Heel%20Observer%20Paper%20on%20WPP%20in%20OSCE%20Region.pdf>.

11 *Op. cit.*, სქ. 4, გვ. 916-935.

12 იხ., მაგ.: მონა ლენა კრუკი, *პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა*, (აშშ, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020).

თავის მხრივ, პოლიტიკური ძალადობის მკვლევრები ხაზგასმით აღნიშნავენ გენდერული ნიშნით პოლიტიკური ძალადობის შესწავლის მნიშვნელობას, თუ რამდენად მოიცავს იგი სხვადასხვა გენდერულ მოტივს, გენდერულ ფორმასა და გენდერულ ზეგავლენას. გარდა ამისა, იმ ქალებისთვის, რომლებიც პოლიტიკაში ძალადობის სამიზნე ხდებიან მხოლოდ იმის გამო, რომ ქალები არიან, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური ძალადობის გენდერული ფორმები ცხადყოფს, „თუ რამდენად განსხვავებულად აყალიბებს გენდერული როლები და სტერეოტიპები მამაკაცთა და ქალთა პოლიტიკური ძალადობის გამოცდილებებს" და გენდერული ზეგავლენა რამდენად „მოიცავს სუბიექტური აზრის ფორმირების პროცესებს, როცა სხვადასხვა აუდიტორიები რეაგირებენ პოლიტიკურ ძალადობაზე."[13] პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა და გენდერული ნიშნით პოლიტიკური ძალადობა მსუსხავ ეფექტს იწვევს და, აქედან გამომდინარე, ქალები და გოგონები თავს იკავებენ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისგან, ხელი ეშლებათ ცხოვრების თავისუფლად წარმართვასა და საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებაში. ინსტრუმენტების მოცემულ დოკუმენტში ტერმინი 'პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა' გამოიყენება ეუთოსა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### პრეზიდენტობის ქალი კანდიდატების მიმართ ძალადობის მაგალითები

**კლარა სორონკულოვამ,** პრეზიდენტობის კანდიდატმა ყირგიზეთის 2021 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, განაცხადა, რომ კამპანიის პროცესში მის მიმართ მუქარას ჰქონდა ადგილი. მან რეგიონებში კამპანია არ აწარმოა და ამის მიზეზად უსაფრთხოების საკითხები და შეზღუდული ფინანსური რესურსები დაასახელა.

**კამალა ჰარისის** აშშ-ის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენიდან ერთ კვირაში, მედია ანალიტიკური პლატფორმის, Zignal Labs-ის ანალიზის თანახმად, ტვიტერის პოსტებში 35 479-ჯერ გამოჩნდა სექსუალური დატვირთვის მქონე ჰეშთეგი #heelsupharris.

ეუთო მიიჩნევს, რომ „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული დაბრკოლებაა, რომელიც ხელს უშლის მათ მიერ ადამიანის ყველა უფლებით სრულფასოვნად სარგებლობას და ქალების სრულ, თანასწორ და ეფექტურ მონაწილეობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში"[14]. ნებისმიერი ძალადობა, რომელიც ქალებს

13 იხ., მაგ., "პოლიტიკური ძალადობის გენდერული შემადგენელი"*op. cit.*, სქ. 4.

14 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 4/18, *op. cit.*, სქ. 9.

არ აძლევს საშუალებას, განახორციელონ საკუთარი უფლება და თანაბარ პირობებში მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხმა მისცენ არჩევნებში, კენჭი იყარონ, თავისუფლად წარმართონ კამპანია, იყონ არჩეული, გაერთიანდნენ, შეიკრიბონ, თავისუფლად ისაუბრონ და გამოთქვან საკუთარი აზრი, მათი უფლებების დარღვევას წარმოადგენს და საზიანოდ აისახება საზოგადოებაზე. იგი ძირს უთხრის ჩვენს პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებს, ხელს უშლის ჩვენი საჯარო ინსტიტუტების მუშაობას და ამცირებს მათ სანდოობას, ასუსტებს პოლიტიკის შედეგებს და აფერხებს და ძირს უთხრის ქალების პოლიტიკურ მონაწილეობას, ჩვენს დემოკრატიებს, ადამიანის უფლებებს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას.[15]

დაუშვებელია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა იყოს პოლიტიკაში ქალების ჩართვის ფასი და ამ პრობლემის სისტემური გადაჭრა სახელმწიფოების პასუხისმგებლობაა. ამ გლობალური ეპიდემიის დამარცხების გზაა ცნობიერების ამაღლებით პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, დაზარალებულ პირთა სათანადო მხარდაჭერა, სამართლებრივი დაცვა და დახმარება, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა, დაუსჯელობის დასრულება და ეფექტური და ინოვაციური სტრატეგიებისა და პარტნიორობების ძიება. ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის გაფართოებამ და გაძლიერებამ შეიძლება შეცვალოს პოლიტიკის წარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესები გრძელვადიან ჭრილში, რაც, თავის მხრივ, დააბალანსებს ძალაუფლების მქონე მხარეთა ურთიერთობებს და შეამცირებს ძალადობას.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა უსაფრთხოების საკითხიც არის. ეუთოს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ „ქალების მიერ ადამიანის უფლებებით სრულფასოვნად და თანაბრად სარგებლობა არსებითად მნიშვნელოვანია ეუთოს უფრო მშვიდობიანი, განვითარებული და დემოკრატიული სივრცის უზრუნველსაყოფად".[16] გარდა ამისა, ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 4/2018 „მოუწოდებს ყველა შესაბამის აქტორს, მათ შორის, პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს, ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას, მათ შორის, იმ ქალების მიმართ, რომელთა პროფესიული საქმიანობა საჯაროა და/ან საზოგადოების ინტერესებს ემსახურება; ამისათვის საჭიროა მოცემული საკითხის წამოწევა საზოგადოებრივ დისკუსიებში, ცნობიერების ამაღლების ინიციატივების შემუშავება და სხვა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, ახალგაზრდა ქალებზე ამგვარი ძალადობის მსუსხავი ეფექტის გათვალისწინებით".[17]

15 იხ. აგრეთვე საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, UN OHCHR, 16 დეკემბერი, 1966, <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights>.

16 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 14/04: ეუთოს სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, მუხლი. 1, 7 დეკემბერი, 2004, <https://www.osce.org/files/f/documents/7/d/23295.pdf>.

17 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 4/18, *op. cit.*, სქ. 9, პრეამბულა და მუხლი 7.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მანდატს წარმოადგენს ეუთოს წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა „ქალებისთვის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად (და) საუკეთესო პრაქტიკების შესამუშავებლად."[18] ეუთოს საველე საქმიანობის ოფისთან, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეასთან და სხვა სტრუქტურებთან თანამშრობლობით, ODIHR ტექნიკურ დახმარებას, ცოდნასა და გამოცდილებას სთავაზობს სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებს, პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ასევე, აძლიერებს თავად ქალებს, რათა მათ ძალადობის გარეშე შეძლონ პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. გარდა ამისა, ODIHR ეუთოს წევრ სახელმწიფოებში აკვირდება არჩევნების მიმდინარეობას, რაც მოიცავს საარჩევნო პროცესებში ქალების მონაწილეობისა და გამოცდილების შეფასებას. ამასთანავე, ამჟამად ODIHR მუშაობს არჩევნებზე დაკვირვების მეთოდების განახლებაზე, არჩევნების სადამკვირვებლო მისიებისა და აქტივობების დროს არჩევნების გენდერული ასპექტების, მათ შორის, ძალადობის მონიტორინგის გაძლიერების მიზნით. 2021 წელს UN Women-თან ერთად ODIHR-მა დამატებითი ღონისძიება ჩაატარა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე, ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის 65-ე სესიის ფარგლებში, რის შემდეგაც, ეუთოს საველე ოპერაციების ოფისთან ერთად განხორციელდა ონლაინ ადვოკატირების კამპანია.[19] ODIHR-ის დავალებითა და მხარდაჭერით ასევე განხორციელდა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევები სამ ქვეყანაში – პოლონეთში, სერბეთსა და ყირგიზეთში – სერბეთში ეუთოს მისიასთან და ბიშკეკში ეუთოს პროგრამის ოფისთან თანამშრომლობით.[20] 2021 წელს ეუთოს ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ადამიანური განზომილების შესახებ სემინარის ფარგლებში გაიმართა სპეციალური სამუშაო სესია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ; სესიაზე ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და პრაქტიკოსებმა იმსჯელეს ეუთოს შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.[21] ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის საკითხები ჩართული იყო აგრეთვე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენდერის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის 2021 წლის ყოველწლიურ ანგარიშში.[22]

18 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 14/04, *op. cit.*, სქ. 16, მუხლი 44 d.

19 ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში: ქალი ლიდერების გამოცდილება და პერსპექტივები, ODIHR და UN Women, ქალთა სტატუსის შესახებ გაეროს კომისიის 65-ე შეხვედრის (CSW65) ფარგლებში გამართული ღონისძიება, 17 მარტი, 2021, <https://www.osce.org/odihr/479960>.

20 მალგორზატა დრუციარეკი, ალექსანდრა ნიჟინსკა, „'ეს იმდენად ფართოდ არის გავრცელებული, რომ მავიწყდება კიდეც', ქალთა მიმართ ძალადობა პოლონეთის პოლიტიკურ სფეროში", საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2021, <https://www.isp.org.pl/en/publications/it-has-become-so-pervasive-that-i-keep-forgetting-about-it-violence-against-women-on-the-polish-political-scene>, და მარია ბაბოვიჩი და სხვ., „ ანგარიში სერბეთში ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ", ODIHR, იანვარი, 2021, <https://www.osce.org/files/f/documents/5/2/500611_0.pdf>.

21 ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია: სემინარი ადამიანური განზომილების შესახებ, ODIHR, 16-17 ნოემბერი, 2021, <https://www.osce.org/odihr/hds_2021>.

22 „ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა", *op. cit.*, სქ. 2.

წინამდებარე ინსტრუმენტების დოკუმენტი, რომელიც ეძღვნება ევროპის რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემას, მიზნად ისახავს ევროპის წევრი სახელმწიფოების ცნობიერების ამაღლებას, ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ზომების განხორციელების მიზნით. შესავალში გაანალიზებულია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მასშტაბი და ზეგავლენა და შემოთავაზებულია ეფექტური პრევენციის, დაცვის, სამართლებრივი დევნისა და კოორდინირებული პოლიტიკის უზრუნველყოფის გზები. დოკუმენტი მოიცავს ოთხ დამოუკიდებელ და კონკრეტულ ინსტრუმენტს. პარლამენტებისთვის, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის შექმნილი ინსტრუმენტები ეხება ამ კონკრეტულ აქტორებს და სთავაზობს მათ პრაქტიკულ მითითებებს, ასევე , შესაძლო ღონისძიებათა სპექტრს, კარგი პრაქტიკის მაგალითებსა და აქტივობების ჩამონათვალს, სისტემური ღონისძიებების, ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და პარტნიორობების ხელშესაწყობად. პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის შემუშავებული ინსტრუმენტი კი გზამკვლევია იმ ქალებისთვის, რომლებზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ აისახა ძალადობა, და მათ აწვდის ინფორმაცის, როგორ მიიღონ სამართლებრივი დაცვის საშუალება და მხარდაჭერა.

ტერმინი 'პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა' მიუთითებს, რომ ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტები და პოლიტიკური პროცესები ამ მზარდი პრობლემის ცენტრალური ნაწილია და, ამავე დროს, სათანადო გადაწყვეტილებების მიღების გასაღებს წარმოადგენს. სახელმწიფოები – მათი დემოკრატიული ინსტიტუტები, პარლამენტები და პოლიტიკური პარტიები – უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ისეთი უსაფრთხო პოლიტიკური გარემოს შექმნაში, სადაც არ არსებობს ძალადობა რომელიმე მხარის მიმართ. ისინი ასევე ხელს უნდა უწყობდნენ მართლმსაჯულებასა და ქალთა მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობას მათთვის, ვინც პოლიტიკური საქმიანობისას ძალადობას განიცდის ან ლაპარაკობს ამ პრობლემის შესახებ. სამოქალაქო ორგანიზაციები, მათ შორის, ქალთა მოძრაობები,ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ცალკეულ ადამიანებს შორის ხიდის როლს ასრულებს. ამ პრობლემის შესახებ მათ არაერთხელ აუტეხავთ განგაში, გამოსულან მოქმედებისკენ მოწოდებებით და გაუწევიათ მომსახურება დაზარალებულთათვის. პოლიტიკაში უკვე ჩართული ან ჩართვის მსურველი ქალები საჭიროებენ მხარდაჭერასა და გაძლიერებას, რათა ისარგებლონ სამართლებრივი დაცვის საშუალებით და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საკუთარი საპასუხო მოქმედების თაობაზე. ODIHR-ის ინსტრუმენტების დოკუმენტი ამ ძალისხმევის მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

## რა არის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა?

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა არის გენდერული ნიშნით ნებისმიერი ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუშალოს ქალებს (იმიტომ, რომ ქალები არიან), მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში.[23] ეს არ არის უბრალოდ ფიზიკური თავდასხმის ფორმა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსა თუ საარჩევნო პროცესში კონკურენტებზე, იქნება ეს ქალი თუ მამაკაცი, პოლიტიკური გამარჯვების მოსაპოვებლად, არამედ – კონკრეტული „ფენომენი, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ საზიანო ქმედებებს ქალებზე, როგორც პოლიტიკურ მოთამაშეებზე, თავდასხმისა და მათთვის რეპუტაციის შერყევის მიზნით, (...) ასევე, მათი, როგორც ჯგუფის, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გასარიყად."[24] ამგვარი ძალადობის, როგორც გენდერული ნიშნით ძალადობის გარკვეული ფორმის, განსაზღვრება ასევე გულისხმობს კონკრეტული მიკერძოების და/ან დისკრიმინაციული ელემენტის არსებობას პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ. ასეთ ძალადობას ქალების მიმართ ჩადიან იმის გამო, რომ ისინი ქალები არიან. თავის მხრივ, იგი უარყოფითად მოქმედებს ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე, დემოკრატიულ პროცესებზე, ადამიანის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე.

პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა, დღევანდელი გაგებით, ძირითადად ოთხი სახის ძალადობას გულისხმობს – ფიზიკურს, სექსუალურს, ფსიქოლოგიურსა და ეკონომიკურს. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თანამედროვე დეფინიციები ძირითადად ეფუძნება ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის არსებულ საერთაშორისო ვალდებულებებს (იხ. ჩანართი ქვევით) და მოიცავს პოლიტიკურ სფეროსაც. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „ქალთა მიმართ ძალადობა უნდა გავიგოთ, როგორც მოვლენა, რომელიც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება (...) ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობით".[25] ბოლივიის მიერ თითქმის ათი წლის წინ მიღებულმა კანონმა შემოიტანა პოლიტიკური ასპექტი და საკანონმდებლო განმარტება, როცა ბოლივიის №243 კანონში ქალთა შევიწროებისა და პოლიტიკური ძალადობის შესახებ ძალადობა განიმარტა როგორც „ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური მოქმედება, ქცევა და/ან აგრესია", რომელიც მიზნად ისახავს ქალის ქმედებებისა და მის მიერ პოლიტიკური უფლებების განხორციელების შეზღუდვას.[26]

23 კრუკი, *op.cit.*, სქ. 12, გვ. 3.

24 *Ibid.* გვ. 4.

25 დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 48/104, 20 დეკემბერი, 1993: "ქალთა მიმართ ძალადობა მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება: (ა) ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობით." მუხლი 2ა, <https://www.un.org/en/genocideprevention/documents/atrocity-crimes/Doc.21_declaration%20elimination%20vaw.pdf >.

26 ბოლივია. 2012. კანონი №243 ქალების შევიწროებისა და მათ მიმართ პოლიტიკური ძალადობის შესახებ. მუხლები 7 და 8.

## საერთაშორისო სტანდარტები და ეუთოს ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობას, მათ შორის, პოლიტიკის სფეროში

- ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებები: №14/04 – ეუთოს სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, 2004; №15/05 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია, 2005; №7/09 ქალების პოლიტიკური მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; № 7/14 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია, 2014; და №4/18 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია, 2018; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია ქალი ჟურნალისტების და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ბირმინგემი, 2022.

- კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), 1979; ზოგადი რეკომენდაცია №30 კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ კონტექსტში ქალთა შესახებ, 2013; ზოგადი რეკომენდაცია №35, 2017, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ზოგადი რეკომენდაციის (№19, 1992) განახლებას.

- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 48/104: დეკლარაცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, 1993; გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 66/130: ქალები და პოლიტიკური მონაწილეობა, 2011; გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 73/148: ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრისაკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერება: სექსუალური შევიწროება, 2018; გაეროს დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის 2030 (მე-5 მიზანი), 2015.

- პეკინის დეკლარაცია და პლატფორმა მოქმედებისათვის, 1995.

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO): კონვენცია შრომის სფეროში ძალადობისა და შევიწროების აღმოფხვრის შესახებ (№190), 2019 და ძალადობასა და შევიწროებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია (№206), 2019.

- ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (CETS №210; სტამბულის კონვენცია), 2011 და ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (სტამბულის კონვენციისთვის – GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია №1 ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, 2021; ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2019)1: სექსიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2274(2019): პარლამენტებში სექსიზმისა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის ხელშეწყობა; ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის რეზოლუცია 459(2020): ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.

- ინტერამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ (the Belém do Pará Convention), 1994.
- ოქმი ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიისათვის, აფრიკაში ქალთა უფლებების შესახებ (მაპუტოს ოქმი), 2003.

ეკონომიკური ძალადობა აღიარებულია, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის მეოთხე ასპექტი და შეტანილია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის არსებულ დეფინიციებშიც. იგი ეფუძნება სტამბულის კონვენციას, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას განმარტავს, როგორც გენდერული ნიშნით ძალადობის ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ქალს აყენებს ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ზიანს ან ტანჯვას, ასევე, ასეთი ქმედებების მუქარას, საჯარო ან პირად ცხოვრებაში.[27] CEDAW კომიტეტის №35 ზოგად რეკომენდაციასა[28] და ILO კონვენციაში შრომის სფეროში ძალადობისა და შევიწროების აღმოფხვრის შესახებ,[29] ეკონომიკური ძალადობა განხილულია, როგორც ძალადობის მეოთხე ტიპი. ინტერამერიკული მოდელური კანონი პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ ასევე მოიცავს ეკონომიკური ძალადობის განმარტებას და აღიარებს, რომ ეკონომიკური ძალადობა ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია.[30] ეუთოს ვალდებულებებში ქალთა მიმართ ძალადობის განმარტება მოიცავს ეკონომიკურ და მეტიც, პოლიტიკურ ძალადობასაც, სადაც აღნიშნულია, რომ „ძალადობამ ქალებისა და გოგონების მიმართ შესაძლოა გამოიწვიოს ნებისმიერი ასაკის გოგონას ან ქალის გარდაცვალება ან მიაყენოს მათ ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური ზიანი ან ტანჯვა...".[31]

პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის განმარტებებში, ფართო ტერმინის სახით, მეცნიერები სულ უფრო ხშირად იყენებენ სიმბოლურ ან სემიოტიკურ ძალადობას. იგი ეხება სიმბოლური მოქმედებების, სექსუალიზებული

27 ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბულის კონვენცია), ევროპის საბჭო, სტამბული, 11 მაისი, 2011, მუხლი 3.ა., <https://rm.coe.int/168008482e>.

28 ზოგადი რეკომენდაცია 35, *op.cit.*, *სქ.* 7, მუხლი 14. ეს ძალადობა ვლინდება მრავალგვარი ფორმით, მათ შორის, ქმედებებით ან უმოქმედობით, რომლის მიზანია ან რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ქალის გარდაცვალება ან ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიური ზიანი ან ტანჯვა, ამგვარ ქმედებათა მუქარა, შევიწროება, იძულება ან თავისუფლების თვითნებურად აღკვეთა.

29 კონვენცია შრომის სფეროში ძალადობისა და შევიწროების აღმოფხვრის შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), მიღებულია 21 ივნისს, 2019, <https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C190>.

30 ინტერამერიკული მოდელური კანონი პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 3, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, 2017, <Inter-American Model Law on the Prevention, Punishment and Eradication of Violence against Women in Political Life>.

31 ეუთო. 2018. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 4/18 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ. პრეამბულა.

ტერმინოლოგიის ან სურათების, გენდერული დეზინფორმაციის ან მორალური საკითხების გამოყენებას ან ზეგავლენას, რომლის მიზანიცაა, ზიანი მიაყენოს პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობას, ჩაახშოს მათი ხმა და შეზღუდოს მათი პოლიტიკური საქმიანობა. სიმბოლური ძალადობა მოიცავს ქმედებებს, რომლებიც „პოლიტიკოსი ქალების დელეგიტიმაციას ახდენს გენდერული სტერეოტიპების გამოყენებით, პოლიტიკის სფეროში მათი კომპეტენციის დაკნინების მიზნით."[32] გარკვეული კვლევა ჩატარდა იმის შესასწავლად, არის თუ არა სიმბოლური ძალადობა რეალური ქმედება, რომლის მიზანსაც პოლიტიკაში ქალის კომპეტენციის დისკრედიტაცია ან გაუფასურება წარმოადგენს, თუ იგი არის ისეთი უმოქმედობა, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ქალს პოლიტიკაში არაკომპეტენტურ, შეუსაბამო და უჩინარ არსებად აქცევს, რაც ასევე ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა.[33] არსებობს მოსაზრებაც, რომ პოლიტიკაში ქალების მიმართ სიმბოლური ძალადობა გარკვეულწილად ბუნდოვანია და მისი გაზომვა შეუძლებელია გავრცელების მასშტაბის ან სიხშირის მიხედვით.[34] თავის მხრივ, სიმბოლური ძალადობა მნიშვნელოვანია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის განმარტებისთვის – იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძალადობის, დისკრიმინაციისა და გარიყვის ერთობლიობა. ამჟამად იგი ნაკლებად აქტუალურია სამართლებრივი გზების გამოყენების (ანუ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის ან სასამართლოში სარჩელის შეტანის) თვალსაზრისით.

### პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის განმარტება [35]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს გენდერული ნიშნით ძალადობის ნებისმიერ ქმედებას, მუქარას ან მცდელობას, რასაც მოჰყვება ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანი ან ტანჯვა, რომელიც მიმართულია პოლიტიკაში ჩართული (თანამდებობის კანდიდატი, არჩეული თანამდებობის მქონე ან პოლიტიკური პარტიის წევრი) ქალის წინააღმდეგ, იმის გამო, რომ ის ქალია და მიზანად ისახავს, პოლიტიკაში მისი ლეგიტიმური წარმომადგენლობისთვის, გამოხატვისა და საქმიანობისთვის ხელის შეშლა. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ქალების მიერ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების შესაძლებლობას.

32 მონა ლენა კრუკლენდი და ჯულიანა რესტრეპ სანინი, "გენდერული და პოლიტიკური ძალადობა ლათინურ ამერიკაში: ცნებები, მსჯელობები და გადაწყვეტილებები", *Política y gobierno*, 23.1, მეხიკო, ივნისი, 2016, <https://www.scielo.org.mx/scielo.php?pid=S1665-20372016000100127&script=sci_arttext&tlng=en>.

33 გაბრიელ ბარდალი, „სიმბოლური ძალადობა, როგორც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა: კრიტიკული შესწავლა", *Revista mexicana de ciencias políticas y sociales*, 65.238, მეხიკო, აპრილი, 2020, <https://www.scielo.org.mx/scielo.php?script=sci_arttext&pid=S0185-19182020000100379#B33>.

34 ჯული ბელინგტონი, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ არსებული ვითარების ცვლილება: მიღწევები (კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა: 5 ნოემბერი, 2018), <https://www.cambridge.org/core/journals/politics-and-gender/article/turning-the-tide-on-violence-against-women-in-politics-how-are-we-measuring-up/BDE60029419C30C96ACE14BAB8C49E10>.

35 ეს დეფინიცია შეიმუშავა ევროთა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ამ ინსტრუმენტების მიზნით და არ წარმოადგენს ევროთა ოფიციალურ განმარტებას. იგი ეფუძნება საერთაშორისო სამართლებრივ ბაზასა და ევროთა ვალდებულებებში არსებულ განმარტებებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ და, პროგრამულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, განვრცობილია პოლიტიკურ სფეროზე.

გარდა ამისა, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას შესაძლოა ჰქონდეს სიმბოლური ზეგავლენა, რომელიც ქალს პოლიტიკაში არაკომპეტენტურ, შეუსაბამო ან უჩინარ არსებად აქცევს და, ამავე დროს, ძალადობის სამიზნედ ქცევის შიშით, სხვა ქალებსაც უარს ათქმევინებს პოლიტიკაში ჩართვაზე.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში აღწერილია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები: [36]




36 მაგალითისთვის იხილეთ ძალადობის ფორმები დოკუმენტში „სახელმძღვანელო შენიშვნა: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია", ლიდერობისა და მმართველობის სექცია, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, ივლისი, 2021, გვ. 4, <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2021/Guidance-note-Preventing-violence-against-women-in-politics-en.pdf>, და „ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა: მზარდი კრიზისი", ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური მომხსენებელი გენდერულ საკითხებზე, ყოველწლიური ანგარიში 2021, <https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/4247-2021-report-by-the-special-representative-on-gender-issues-violence-against-women-journalists-and-politicians-a-growing-crisis/file>.

## პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა ონლაინ სივრცეში

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ონლაინ სივრცეში საგანგაშოდ ხშირია. 2018 წელს საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) და ევროპის საბჭოს (CoE) მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, გამოკითხული პარლამენტარი ქალების 58.2%-ს ჰქონდა სოციალურ ქსელებში სექსისტური ონლაინ თავდასხმების გამოცდილება.

ეუთოს მინისტრთა საბჭო, CEDAW კომიტეტი, გაეროს ქალთა სტატუსის კომისია და GREVIO აღიარებენ, რომ ქალთა მიმართ ონლაინ სივრცეში ძალადობა მზარდი პრობლემაა და შესაბამისად, თავიანთ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებში ასახავენ ამ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

### ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება №4/18 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ

„აღიარებს, რომ ძლიერ გახშირდა ზეწოლა, მუქარა და შევიწროება, მათ შორის, სექსუალური შევიწროება, განსაკუთრებით ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით, რამაც შესაძლოა განაპირობოს ქალებისა და გოგონების როლისა და საქმიანობის შეზღუდვა საზოგადოებრივ სივრცეში“.

### CEDAW-ის ზოგადი რეკომენდაცია №35 ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ

„ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა გვხვდება ადამიანის საქმიანობის ყველა სივრცესა და სფეროში, იქნება ეს საზოგადოებრივი თუ პირადი, და მოიცავს ოჯახს, საზოგადოებას, საზოგადოებრივ სივრცეებს, სამუშაო ადგილს, დასვენების სფეროს, პოლიტიკას, სპორტს, ჯანდაცვას, საგანმანათლებლო სივრცეებს, ასევე, ინტერნეტსა და ციფრულ სივრცეებს და იქ არსებულ ძალადობის თანამედროვე ფორმებს“.

### გაეროს ქალთა სტატუსის კომისია, 65-ე სესია, შეთანხმებული დასკვნები

„გენდერის პერსპექტივის ჩართვა ციფრული ტექნოლოგიებისა და შესაბამისი პოლიტიკის კონცეფციებში, განვითარებასა და განხორციელებაში და ქალთა მონაწილეობის გაძლიერება ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ციფრულ კონტექსტებში, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების კომპანიების, ინტერნეტის სერვისის მიმწოდებლების წახალისება, დაიცვან სტანდარტები და განახორციელონ გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ანგარიშგების მექანიზმები“.

### GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია №1 ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ

„ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება მოიცავს ონლაინ სივრცეში ან ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებული ქმედებების ფართო არეალს, რომელიც წარმოადგენს ძალადობის კონტინუუმის ნაწილს, რომელსაც ქალები და გოგონები განიცდიან მათი სქესის გამო, მათ შორის, ოჯახის გარემოში, და რომელიც

ისევე საზიანოა, როგორც ფიზიკურ სივრცეში განხორციელებული ძალადობა გენდერული ნიშნით. GREVIO ციფრულ განზომილებაში ქალთა მიმართ ძალადობას განიხილავს ორი ასპექტის ჭრილში (ინტერნეტში განხორციელებული ქმედებები და ინტერნეტში ხელმისაწვდომი მონაცემები, მათ შორის, ხილული სახით და ჩრდილოვან ინტერნეტში) და ასევე მოიცავს ტექნოლოგიების გამოყენებით (ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო ტექნიკის, მათ შორის, აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით განხორციელებული ქმედებები) ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ განხორციელებულ საზიანო ქმედებებს."

*გსმენიათ 'დოქსინგის' 'ფლეიმინგის' და 'ქრიფშოთების' შესახებ? იხ. ინსტრუმენტი პოლიტიკაში ჩართული ქალებისათვის, სადაც განხილულია ქალთა მიმართ ონლაინ სივრცეში ძალადობის სხვადასხვა ფორმები, აგრეთვე, ქალი პოლიტიკოსებისთვის ონლაინ და ფიზიკურ სივრცეში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რჩევები.*

## პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი და გავლენა

საერთაშორისოდ აღიარებული საკანონმდებლო განმარტების არარსებობის პირობებში, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა არ არის თვალსაჩინო და, სავარაუდოდ, ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია არ ასახავს რეალურ ვითარებას; შესაბამისად, რთულია ამ მოვლენის მასშტაბისა და ზეგავლენის შეფასება. ზოგიერთი ქალი ასეთ ძალადობას ნორმად თვლის და „პოლიტიკური საქმიანობის საფასურად" მიიჩნევს, სხვები კი გაჩუმებას ამჯობინებენ, პოლიტიკური კარიერის და/ან რეპუტაციის დაცვის მიზნით, ან ვინაიდან, ძალადობის ფაქტის გახმაურების შემთხვევაში, აქვთ შემდგომი ვიქტიმიზაციის, შურისძიებისა და ბრალეულობის შიში. ხშირად, ძალადობის ფაქტების გამჟღავნების მსურველები გაჩუმებას ამჯობინებენ, რადგან ასეთი შემთხვევების შესახებ შეტყობინებისა და სამართლებრივი გზების გამოყენების ეფექტური მექანიზმები მწირია.[37]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პირდაპირი სამიზნეა არჩევით თანამდებობაზე ან პოლიტიკურ თანამდებობაზე მყოფ ქალები, ქალი კანდიდატები, ისინი, ვინც პოლიტიკოსობას აპირებენ, ასევე, პოლიტიკური აქტივისტები და მხარდამჭერები, მათი ოჯახები, თემები და თანამშრომლები. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის არაპირდაპირი სამიზნე კი პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმის მსურველი სხვა ქალები და მომავალი თაობის ქალები არიან, რომლებმაც, მსხვერპლის როლში აღმოჩენის შიშით, შეიძლება თავი

37 „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა", *op.cit., სქ.*12, გვ. 3.

შეიკავონ პოლიტიკაში მონაწილეობისგან. აღსანიშნავია აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ახალგაზრდა ან უმცირესობათა წარმომადგენელი ქალები, ასევე, ადამიანის ცალკეული უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ქალები, რომლებიც, სავარაუდოდ, ამგვარი ძალადობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.[38] მოძალადეები რომელთა დიდ უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ, ასეთ ქმედებებს ხშირად ახორციელებენ ტრადიციული გენდერული როლების შენარჩუნებისა და ქალების, როგორც ჯგუფის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდვის ან აღკვეთის მიზნით"[39].

კვლევების თანახმად, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ფართოდ არის გავრცელებული და სულ უფრო ძლიერდება. [40] IPU-სა და ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულ ქალ პარლამენტართა 85.2%-ს თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში გამოუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა, 46.9%-ის მიმართ განხორციელებულა სიკვდილის, გაუპატიურების ან ცემის მუქარა, 58.2% აღმოჩენილა სოციალურ ქსელებში ონლაინ სექსუალური თავდასხმების სამიზნე, 24.7%-ს კი განუცდია სექსუალური ძალადობა.[41] განსაკუთრებით გამოიკვეთა შედარებით ახალგაზრდა ქალები და უმცირესობათა წარმომადგენელი ქალები, ასევე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ქალები, რომლებიც ხშირად გამხდარან თავდასხმის ობიექტი. ბევრი გამოკითხული ქალი აღნიშნავდა, რომ არ არსებობს მექანიზმი ან სამსახური, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ჩივილი და დახმარების მიღება.

38 „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა – მზარდი პრობლემა", რუტგერსის უნივერსიტეტის ვებგვერდი, 5 ოქტომბერი, 2020, <https://www.rutgers.edu/news/violence-against-women-politics-growing-problem>.

39 „ძალადობა ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ", *op.cit.*, სქ. 2, გვ. 5.

40 „მოწოდება მოქმედებისაკენ: ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობაზე რეაგირება", ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენელი გენდერის საკითხებში, 2021, <https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/4248-an-appeal-to-act-addressing-violence-against-women-journalists-and-politicians/file>.

41 „სექსიზმი, შევიწროება და ქალთა მიმართ ძალადობა ევროპის პარლამენტებში", საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU) და ევროპის საბჭო (CoE), 2018, <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2018-10/sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliaments-in-europe>.

## ძალადობა ქალი პარლამენტარების მიმართ ევროპაში[42]

*ევროპაში ქალი პარლამენტარების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმები (%)*




*Source: IPU & CoE, 2018, "Sexism, harassment and violence against women in parliaments in Europe"*

შეიარაღებული კონფლიქტების ადგილებისა და მოვლენების შესახებ მონაცემთა პროექტმა (ACLED) აღრიცხა პოლიტიკის სფეროში ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის სხვადასხვა ფორმები[43] და 2021 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა ახალი მონაცემები აფრიკის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის, ევროპის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის შესახებ. [44] მსოფლიოში ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის 11 000 შემთხვევის ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, რომ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არასექსუალური ხასიათის ძალადობაა (შემთხვევათა 66%), მას მოსდევს ჯგუფური ძალადობა, გატაცება და იძულებითი გაუჩინარება (14%), სქესობრივი ძალადობა (5%) და აფეთქებები და დისტანციური მეთოდებით ძალადობის სხვა ფორმები (1%).[45] კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ევროპასა და აშშ-ში ყველაზე მეტად გავრცელებულია არასექსუალური ხასიათის ძალადობა.[46]აშშ-ში ჯგუფური

42 *Ibid.* კვლევა მოიცავს ევროპის 45 ქვეყნიდან 123 ქალის პასუხებს. მონაცემების შეგროვება განხორციელდა 2018 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში.

43 ACLED-ის თანახმად, მათ რიცხვში შედიან თანამდებობის კანდიდატი ქალები, პოლიტიკოსები, პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები, ამომრჩევლები, სამთავრობო თანამდებობის პირები, ასევე, აქტივისტები, ადამიანის უფლებათა დამცველები და საზოგადოებრივი ლიდერები.

44 კიში რუდაბე, 2021. „პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა: ტენდენციები პოლიტიკური ძალადობის სამიზნეების, სახეობების და დამნაშავეების მიხედვით", Armed Conflict Location & Event Data Project (ACLED) პროექტის ვებგვერდი, 8 დეკემბერი, 2021, ნანახია 2022 წლის 31 მარტს, <https://acleddata.com/2021/12/08/violence-targeting-women-in-politics-trends-in-targets-types-and-perpetrators-of-political-violence/>.

45 *Ibid.*

46 *Ibid.*

ძალადობის ფაქტები არ აღინიშება, თუმცა ძალადობის ამ ტიპს ვხვდებით სხვა ზემოაღნიშნულ რეგიონებში. კავკასიისა და ცენტრალური აზიის შესახებ არსებული მონაცემებით, პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა მოიცავს აგრეთვე გატაცებასა და იძულებით გაუჩინარებას, ევროპაში კი დასტურდება აფეთქებისა და დისტანციური მეთოდებით ძალადობის სხვა ფორმები.[47]

ეუთოს რეგიონში ჩატარებული უახლესი კვლევების თანახმად, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ფართოდ გავრცელებული და სისტემურია. პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ODIHR-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევის სახელწოდება – *ეს იმდენად ფართოდ არის გავრცელებული, რომ მავიწყდება კიდეც* – ხაზს უსვამს, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ყველა ქალს გამოცდილი ჰქონდა ძალადობა, იმდენად, რომ ქალები მას უკვე ნორმად მიიჩნევდნენ.[48] ძალადობის ზუსტი მასშტაბების დასადგენად საჭიროა დამატებითი რაოდენობრივი კვლევები, თუმცა, კვლევის ავტორები მივიდნენ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ „ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკის სფეროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს", რასაც კიდევ უფრო აძლიერებს „კულტურული ფაქტორები, რომელთა ზეგავლენით პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა გრძელდება და საზოგადოებისა და პოლიტიკური კლასის წარმომადგენელთა უმრავლესობის მიერ მისაღებად აღიქმება".[49]

სერბეთში ქალი პოლიტიკოსების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ეუთოს ანგარიშის შედეგები ასევე „ცხადყოფს, რომ ფართოდაა გავრცელებული სტრუქტურული,[50] კულტურული და პიროვნებათშორისი ძალადობის სხვადასხვა ფორმები. ძალადობა (ქალების) პოლიტიკური კარიერის განუყოფელი ნაწილია და მრავალი სხვადასხვა ფორმით ვლინდება, როგორც ძალადობის ტიპის, ისე დამნაშავეებისა და ძალადობის კონტექსტის მიხედვით."[51] რაც შეეხება სტრუქტურულ ძალადობას, შედეგების თანახმად, ავტორიტარული კულტურა და სტრუქტურები ჩვეულებრივი მოვლენაა პოლიტიკური პარტიებისთვის, თუმცა ნაკლებად –პარლამენტებისთვის, რაც ხელს უწყობს გენდერულ სეგრეგაციას ვალდებულებების, თანამდებობების, ქსელებზე წვდომისა და გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. ასეთი სტრუქტურული უთანასწორობა ხელს უწყობს უთანასწორო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ნოყიერ ნიადაგს ქმნის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობისთვის. ძალადობის ტიპის მიხედვით,

47 *Ibid.*

48 „ქალთა მიმართ ძალადობა პოლონეთის პოლიტიკურ სივრცეში", *op. cit.*, სქ. 20.

49 *Ibid.*

50 სტრუქტურული ძალადობა ეხება ძალადობის ფორმას, როდესაც სოციალური სტრუქტურები ან ინსტიტუციები ზიანს აყენებენ ადამიანებს, ვინაიდან არ ხდება ადამიანების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება. იხ., მაგ., იოჰან გალტუნგი, „ძალადობა, მშვიდობა და მშვიდობის კვლევა", Journal of Peace Research, 6 (3) 1969, გვ. 167–191.

51 „ანგარიში სერბეთში ქალი პოლიტიკოსების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ", *op. cit., სქ. 20, გვ. 5.*

პოლიტიკაში ქალების მიმართ „ყველაზე ხშირია სხვადასხვა ფორმის ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც მოსდევს სექსუალური შევიწროება..., (ხოლო) ფიზიკური ძალადობის შემთხვევები იშვიათია".[52] ძალადობის ჩამდენ პირთა არეალი მრავალფეროვანია და მოიცავს თანაპარტიელებსა და პარტიის ლიდერებს, პოლიტიკურ ოპონენტებს, მედიას, თუმცა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენებთა შორის უმეტესად მამაკაცები არიან. [53]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა უარყოფითად მოქმედებს ქალების ჯანმრთელობასა და სამუშაოს შესრულების უნარზე. IPU კვლევის თანახმად, შევიწროებისა და ძალადობის მსხვერპლ ქალ პარლამენტართა 57.7% შოკირებული იყო ძალადობის გამოცდილებით, სხვები კი თავს გრძნობდნენ „დამცირებულად, გაბრაზებულად, დამწუხრებულად ან დაბნეულად იმ მომენტში, ...რასაც შემდეგ მოჰყვა შფოთვა, ჯანმრთელობის პრობლემები და ძილის აშლილობა. მათი ერთი მესამედი შიშობდა საკუთარი და ახლობლების უსაფრთხოების გამო", ბევრ მათგანს კი მოუწია დაცვის და უსაფრთხოების ზომების გაძლიერება.[54] ქალ პარლამენტართა გარდა, შევიწროება და ძალადობა უარყოფითად აისახა პარლამენტის ქალ თანამშრომლებზე, რომელთა ნახევარი აცხადებდა, რომ თავს გრძნობდა იზოლირებულად და გარიყულად, რაც უარყოფითად აისახებოდა მათ მიერ სამუშაოს რიგიანად შესრულების უნარზე.[55] ძალადობის შედეგები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობით, არამედ გავლენას ახდენს ქალების გამოხატვის თავისუფლებაზე, მათი უსაფრთხოების უფლებასა და დისკრიმინაციის გარეშე პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობაზე, ასევე, მათი პოლიტიკური დღის წესრიგის შესრულების უნარზე. „ამან, შესაძლოა, ქალები აიძულოს, თავი შეიკავონ საკუთარი აზრის გამოხატვისგან, მეტი სიფრთხილით შეარჩიონ მხარდასაჭერი თემები და უფრო მეტად ჩრდილში ყოფნა" ან საერთოდ პოლიტიკიდან წასვლა ამჯობინონ.[56] მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ქალებმა სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოავლინეს და პარლამენტარი ქალების უმრავლესობა საპარლამენტო საქმიანობის გაგრძელებას აპირებს.[57]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი და შედეგები ქალების სხვადასხვა ჯგუფებისთვის შესაძლოა განსხვავებული იყოს. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შედეგებზე მსჯელობისას უნდა ვაღიაროთ, რომ ქალები წარმოადგენენ არა ერთგვაროვან ჯგუფს, არამედ სხვადასხვა იდენტობების მქონე ინდივიდებს და, შესაბამისად, დისკრიმინაციისა და ძალადობის მრავალგვარი ზემოქმედების ქვეშ ექცევიან. ქალთა მიმართ ძალადობის ინტერსექციურობაზე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების

52 *Ibid.*

53 *Ibid.*

54 „სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა ევროპის პარლამენტებში ქალების მიმართ", *op. cit.*, სქ. 41, გვ. 10.

55 *Ibid.*

56 „ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა: მზარდი კრიზისი", *op. cit.*, სქ. 39. გვ. 22.

57 *Ibid.*

მიმართ ძალადობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გენდერული ნიშნით, არამედ დისკრიმინაციის ბევრი სხვა ფორმის თანაკვეთას გულისხმობს, მაგალითად, ეთნიკური ნიშნით, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და სხვ.[58] ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „პოლიტიკაში ჩართული ზოგიერთი ქალი, სხვებთან შედარებით, შესაძლოა, უფრო მეტად დაექვემდებაროს გენდერული ნიშნით ძალადობას, მათ შორის არიან: ადამიანის უფლებათა დამცველები; ახალგაზრდა ქალები, აბორიგენი ქალები, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი აქტივისტები; ოპოზიციის ან უმცირესობათა ჯგუფების წევრები; ასევე, განსხვავებული ან 'საკამათო' შეხედულებების მქონე ქალები."[59]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბზე მსჯელობისას, ბევრი დღეს მას „მზარდ კრიზისს" უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ამის დამადასტურებელი გარკვეული მონაცემები არსებობს, ეს საკმარისი არ არის.[60] ზოგადად, „პრაქტიკოსები, მკვლევრები და დაინტერესებული მხარეები სულ უფრო ხშირად თანხმდებიან იმაზე, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ან პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები" მისი მასშტაბისა და ზეგავლენის „სათანადოდ გაზომვასა და მონიტორინგს უნდა ითვალისწინებდეს".[61]

58 რებეკა კუპერბერგი, „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ინტერსექციული ძალადობა", Politics and Gender, 13 ნოემბერი, 2018, <https://www.cambridge.org/core/journals/politics-and-gender/article/intersectional-violence-against-women-in-politics/857778003CD6AB6448FC30DBC1F34416>.

59 „ანგარიში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ", გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, 6 აგვისტო, 2018, <https://digitallibrary.un.org/record/1640483?ln=en>.

60 „ქალი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა: მზარდი კრიზისი", *op. cit.*, სქ. 2.

61 ბელინგტონი, „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ არსებული ვითარების ცვლილება", *op. cit.*, სქ. 34.

# პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური გზები

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მზარდი პრობლემის გრძელვადიანი და სისტემური გადაწყვეტისთვის საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა. გამოიკვეთა გარკვეული სტრატეგიები, რომელიც პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ კონკრეტული სახის ძალადობის აღმოფხვრისკენაა მიმართული. თუმცა, მეცნიერები, პრაქტიკოსები და თავად პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფი ქალები სულ უფრო ხშირად აჟღერებენ მოწოდებებს ისეთი ერთობლივი ქმედებების, სისტემური გადაწყვეტისა და ინოვაციური ღონისძიებების სასარგებლოდ, რომლებიც ეფექტურად გაუმკლავდება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის რთულ და მასშტაბურ პრობლემას.

არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით, პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ჰოლისტური მიდგომა, რომელიც ცნობილია '4P' მიდგომის სახელით და მოიცავს პრევენციას, დაცვას, სამართლებრივ დევნას და პოლიტიკის კოორდინაციას.




### პრევენცია

ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით ძალადობის სახეობაა, რომელიც სათავეს იღებს სისტემური გენდერული უთანასწორობიდან და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციიდან, ასევე, ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, პოლიტიკაში არსებული სტერეოტიპებიდან. მაშინ, როდესაც დაცვა და სამართლებრივი დევნა აუცილებელია გარდაუვალ და მიმდინარე ძალადობაზე რეაგირებისათვის, ძალადობის პრევენცია ქალთა მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის შემცირებისა და აღმოფხვრის ყველაზე ეფექტური პოლიტიკაა. ამისათვის საჭიროა ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ძალადობის ძირეული მიზეზების აღმოფხვრას, გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლასა

და ძალადობისადმი შემწყნარებლური მიდგომებისა და დისკურსის შეცვლას ემსახურება.[62]

„ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანესია ყველა სხვა ღონისძიების განსახორციელებლად, რადგან საფუძველს უყრის პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის დენორმალიზაციას და, შესაბამისად, ამ პრობლემის აღმოფხვრისკენ მიმართულ ღონისძიებებს."[63] პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ არსებული, სისტემური ან შესაძლო ძალადობის ინდივიდუალური თუ კოლექტიური მხილება და პრობლემაზე საუბარი ხელს უწყობს მის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოებრივი მსჯელობის გააქტიურებას.

გრძელვადიან პესპექტივაში, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის ყველა სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია გენდერული თანასწორობის, სტერეოტიპებისა და ტოქსიკური მამაკაცურობის (საიდანაც სათავეს იღებს ძალადობა) შესახებ მსჯელობაში ბიჭებისა და მამაკაცების ჩართვა. მოკლევადიან პერსპექტივაში, მამაკაც ლიდერებთან, მამაკაც პოლიტიკოსებთან და მამაკაც მოკავშირეებთან ერთად მუშაობა პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის შეუწყნარებლობის გასაძლიერებლად, აამაღლებს ცნობიერებას, შეცვლის ქცევასა და მიდგომებს და ხელს შეუწყობს ამგვარი ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერას. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების სტრატეგიები შეიძლება იყოს საზოგადოებრივი კამპანიები, პირადი გამოცდილების შესახებ საუბარი, ჰეშთეგ აქტივიზმი, საჯარო დებატები და კამპანიები სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით. მედიას შეუძლია, საკვანძო როლი შეასრულოს ინფორმირებულობის გაზრდაში, ქალებისთვის ძალადობისგან თავისუფალი პოლიტიკური საქმიანობის ხელშეწყობასა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის დენორმალიზაციაში.

### პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის კამპანიების მაგალითები:

**ჰეშთეგ აქტივიზმი** აქტივისტებს შესაძლებლობას აძლევს, კონკრეტული გზავნილები გააზიარონ და ერთმანეთს დაუკავშირდნენ სოციალური მედიით, ხელი შეუწყონ მოცემულ თემაზე უფრო ფართო დისკუსიების წარმართვას საზოგადოებაში, რამაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, ცვლილება გამოიწვიოს. „ჰეშთეგ ფემინიზმი" მძლავრ ინსტრუმენტად გამოიყენება გენდერული უთანასწორობისა და სექსიზმის შესამცირებლად, რაც დაადასტურა ბოლოდროინდელმა #MeToo მოძრაობამ. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის წარმოსაჩენად სხვადასხვა ჰეშთეგები გამოიყენება, მათ შორის პირველია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოყენებული ჰეშთეგი #NotTheCost, რომელიც აღნიშნავს, რომ არ შეიძლება, ძალადობა იყოს პოლიტიკური

62 „ეუთოს რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია: 2020 წლის გენდერული თანასწორობის შესახებ კონფერენციის განსახილველი დოკუმენტი", ეუთო, 2020, <https://www.osce.org/files/f/documents/1/9/483449.pdf>.

63 კრუკი, „ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში", სქ.12, გვ. 217.

საქმიანობის ფასი და ის უნდა აღმოიფხვრას. ჰეშთეგ აქტივიზმი შესაძლებლობას იძლევა, ხარჯების გარეშე გლობალურად გაიზარდოს ინფორმირებულობა და შემცირდეს ამ სახის ძალადობის შესახებ სტიგმა, ასევე, იგი ხელს უწყობს გამოცდილებისა და გადაჭრის გზების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და ძალადობის პრობლემით დაინტერესებული ან დაზარალებული პირების ერთმანეთთან დაკავშირებას.

**დაარქვი სახელი. შეცვალე.** პარტიული კუთვნილების არმქონე პროექტია შეერთებულ შტატებში და მისი მიზანია, შეწყდეს სექსისტური და ქალთმოძულე კუთხით ქალი კანდიდატების გაშუქება ყველანაირი ტიპის მედიაში — ბლოგერებით დაწყებული და რადიო წამყვანებითა და სატელევიზიო ექსპერტებით დასრულებული. პროექტის თანახმად, პოლიტიკაში ქალების შესახებ რეპორტაჟების ავტორებმა უნდა ჩაატარონ მარტივი ტესტი ('Reversibility Test'): „არ ახსენონ ქალი კანდიდატის მცირეწლოვანი შვილები, თუ არ ახსენებდნენ მამაკაცი კანდიდატის მცირეწლოვან შვილებს, არ გააკეთონ მითითება ქალი კანდიდატის ჩაცმულობაზე, თუ იმავე კომენტარს არ გააკეთებდნენ მამაკაცი კანდიდატის ჩაცმულობაზე, ან არ თქვან ქალზე, რომ მყვირალა ან მიმზიდველია, თუ იმავე ეპითეტებს არ გამოიყენებდნენ მამაკაცი კანდიდატის მიმართ".

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ადამიანების ინფორმირება და მათი ხელშეწყობა, უკეთ გაიაზრონ და დაუპირისპირდნენ აღნიშნულ პრობლემას, ამგვარი ძალადობის პრევენციისა და შემცირების კარგი გზაა. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, იქნება ეს ინფორმირება თუ სამთავრობო ან არასამთავრობო აქტორებისადმი მიმართვა, ხელს შეუწყობს უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ამ პრობლემის გადასაჭრელად. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებობების გაძლიერება შეიძლება მოიცავდეს ფიზიკური თუ დისტანციური საგანმანათლებლო კურსების, ასევე, ტრენინგებისა და ექსპერტებთან შეხვედრების ორგანიზებას.

ქალთა მიმართ ძალადობის ფენომენის გააზრებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს შესაბამისი მონაცემების შეგროვებას. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვა რთულია, თუ ეს არ არის ფიზიკური და სექსუალური ძალადობა.[64] პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ძირითადი მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს ოჯახებსა და საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვის სტანდარტული ინდიკატორების გამოყენება და მათი განვრცობა პოლიტიკაში არსებული

64 ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო ანგარიშები სახელმწიფოებისთვის შეიძლება იყოს დამატებითი წყარო საარჩევნო პერიოდში ქალი პოლიტიკოსებისა და კანდიდატების მიმართ ძალადობის შესახებ. ვრცლად იხ.: <https://www.osce.org/odihr/elections>.

შემთხვევების, მსხვერპლისა[65] და მოძალადის სქესის, მათი ურთიერთობისა და ძალადობის ტიპის აღსანიშნად.[66] ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვების სახელმძღვანელოს მიხედვით, რეკომენდებულია, მონაცემები შეგროვდეს ოთხი ტიპის – ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური – ძალადობის შესახებ, რადგან 189 ქვეყნის მონაცემები მიუთითებს, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობაში მეტ-ნაკლებად ფიგურირებს ძალადობის ოთხივე ეს კატეგორია".[67] პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევების ჩატარება (შესაძლოა, პრაქტიკოსებისა და მეცნიერების თანამონაწილეობით) და მიღებული შედეგების სპეციალურ საინფორმაციო ინსტრუმენტებსა და რესურსებში ასახვა ხელს შეუწყობს ცოდნის გავრცელებასა და პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლას.

**პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის სტრატეგიები**

| ცნობიერების ამაღლება | შესაძლებლობების გაძლიერება და განათლება | ცოდნის მართვა |
|---|---|---|
| • საზოგადოებრივი კამპანიები<br>• პირადი ისტორიები<br>• ჰეშთეგ აქტივიზმი<br>• საჯარო განცხადებები<br>• კამპანიები სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით<br>• მამაკაცების ჩართულობა | • საგანმანათლებლო კურსები<br>• ტრენინგები<br>• ექსპერტთა შეხვედრები | • მონაცემთა შეგროვება<br>• კვლევა<br>• ცოდნის ინსტრუმენტები<br>• რესურსები |

## დაცვა

პოლიტიკაში ჩართული ქალები, რომლებიც ძალადობას განიცდიან, გამოწვევებს ხვდებიან დაცვისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით. დაცვის არსებული მექანიზმები, როგორც წესი, არასაკმარისია, ინსტიტუციური დაცვა

65 წინამდებარე ინსტრუმენტების დოკუმენტი მოიხსენიებს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს, როგორც ეს არის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში, საერთაშორისო სამართალსა და ეუთოს ვალდებულებებში, თუმცა, ამავე დროს, აღიარებს რომ ქალების ერთი ნაწილი, შესაძლოა, თავს მსხვერპლს უწოდებდეს, მეორე ნაწილი კი უპირატესობას ანიჭებდეს ტერმინს „survivor" (ძალადობაგამოვლილი), რათა ხაზი გაუსვას ბრძოლას, სიძლიერეს, რეაბილიტაციის ან გამოჯანმრთელების პროცესს ძალადობის შემდეგ. ამ ინსტრუმენტების დოკუმენტის ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა შორის ის პირებიც იგულისხმებიან, ვინც თავს ძალადობაგამოვლილს უწოდებს.

66 ბელინგტონი, „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ არსებული ვითარების ცვლილება", op. cit., სქ. 34.

67 ქალები, ბიზნესი და სამართალი 2016. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და მსოფლიო ბანკი, 2015, გვ. 20-21, <https://thedocs.worldbank.org/en/doc/810421519921949813-0050022015/original/WomenBusinessandtheLaw2016.pdf>.

კი არასათანადოა, რაც გამოწვეულია ან ისეთი კანონებისა და პოლიტიკის არარსებობით, რომელიც ხელს შეუწყობდა ამგვარი ძალადობის მკაფიოდ გამოვლენას, ან ინსტიტუციურ დონეზე ინფორმირებულობის ნაკლებობით.[68] პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია სამართლებრივი რეფორმის განხორციელების, ინსტიტუციური დაცვის გაძლიერებისა და მხარდაჭერის სპეციალიზებული სამსახურის შექმნით იმ ქალებისთვის, რომლებიც რისკის ქვეშ იმყოფებიან და რომლებმაც პირდაპირ ან არაპირდაპირ განიცადეს ამგვარი ძალადობა.

პოლიტიკაში ქალების ძალადობისგან დასაცავად უნდა არსებობდეს სამართლებრივი დეფინიციები და აქტები, რომლებშიც განმარტებული იქნება, რას გულისხმობს ამ ტიპის ძალადობა და დაწესებული იქნება რეფერირების, დაცვისა და სამართლებრივი დევნის ზომები, ასევე, ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი სანქციები. მსოფლიოში არსებობს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის კანონმდებლობაში ასახვის გარკვეული მცდელობები, რომლებიც მოიცავს როგორც ცალკე, სპეციალური კანონების შემუშავებას, ისე ამ საკითხის ინტეგრირებას ქალთა მიმართ ძალდობის შესახებ უფრო ფართო საკანონმდებლო ჩარჩოში.[69] ეუთოს წევრ სახელმწიფოებში ამჟამად არ არსებობს სპეციალური კანონები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ბოლივია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მიიღო კანონი №243 ქალების შევიწროებისა და ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის შესახებ. შემდეგი იყო ეკვადორი, პერუ, კოსტა-რიკა და მექსიკა.[70] ახალი კანონების შემუშავებაზე ან ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებულ კანონებში ცვლილებების შეტანაზე მუშაობა მიმდინარეობს, ძირითადად, ლათინურ ამერიკაში, ასევე, ტუნისში.[71] პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად შესაძლებელია არსებული სისხლის სამართლის კოდექსების და/ან საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირება.

აუცილებელია საკანონმდებლო რეფორმების გატარება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის სათანადო საკანონმდებლო განმარტების შემოტანისა და ამ პრობლემის აღიარებისთვის, რაც, თავის მხრივ, პრევენციის, სამართლებრივი დაცვისა და სამართლებრივი დევნის სათანადო ზომების შემოღებას უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო რეფორმები შესაძლოა სრულყოფილი არ იყოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად (რადგან იქმნება კანონმდებლობა, მაგრამ ხშირად მისი ეფექტური აღსრულება არ

68 „ანგარიში სერბეთში ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ", *op. cit.*, სქ. 20, გვ. 7.

69 „ანგარიში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ", *op. cit.*, *სქ.* 59.

70 რესტრეპო სანინი, „სამართალი და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა. პოლიტიკა და გენდერი", op. cit., სქ. 3. იხ. აგრეთვე: ბოლივია. კანონი № 243 ქალთა შევიწროებისა და ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის შესახებ, *op. cit.*, სქ. 26.

71 კრუკი, „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა", *op. cit.,სქ.* 12, გვ. 221- 222.

ხდება), ასეთი რეფორმების გატარება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფი ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე.[72]

**საკანონმდებლო ღონისძიების მაგალითი: პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთ მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ მოდელური კანონი**

ინტერამერიკული მოდელური კანონი პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში, განსაზღვრავს ამ ტიპის ძალადობის სფეროებსა და გამოვლინებებს, ასევე, პასუხისმგებლობებს – პრევენციის, ზრუნვის, დასჯისა და ზიანის ანაზღაურების კუთხით, სხვადასხვა მხარეთა, მათ შორის, სასამართლოს, საარჩევნო ორგანოების, პოლიტიკური პარტიებისა და ქალთა ეროვნული მექანიზმების მიხედვით.

ინსტიტუციური დაცვა უმნიშვნელოვანესია პოლიტიკაში ქალთა მიმართ სტრუქტურული ძალადობის ინსტიტუციურ დონეზე აღმოსაფხვრელად, რომ დადგინდეს მისაღები და მიუღებელი ქცევის წესები, განისაზღვროს გასაჩივრების მექანიზმები და რეაგირების წესები, ასევე, ანგარიშვალდებულება, კერძოდ, შემოღებულ იქნას სანქციები, რომლებსაც დამოუკიდებელი ორგანო მკაფიო წესების მიხედვით დააკისრებს. პარლამენტები, პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო ორგანოები ის ძირითადი ინსტიტუტებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა თავისუფალ მონაწილეობას პოლიტიკაში. აღნიშნული ინსტიტუტები სულ უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას, ძირითადად, კანონებისა და პოლიტიკის შემუშავების, ასევე, ამ ინსტიტუტების ქცევის კოდექსების, ვალდებულებების აღებისა და დავების განხილვის შიდა მექანიზმების დანერგვის გზით.

პარლამენტი, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების სიმბოლო, კრიტიკულ როლს ასრულებს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. იგი აჩვენებს, რომ პოლიტიკაში მონაწილეობა დაცულია ძალადობისგან და უსაფრთხოა ყველა მონაწილე მხარისთვის. პარლამენტების ნაწილს შემუშავებული აქვს პოლიტიკა ან ქცევის კოდექსი ძალადობის და/ან შევიწროების რისკის ქვეშ მყოფი ქალებისა და სხვა ჯგუფების დასაცავად, რაც უფრო დეტალურად არის განხილული პარლამენტებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ODIHR-ის ინსტრუმენტში. მაგალითად, კანადის თემთა პალატის შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ 2014 წლის პოლიტიკა უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს დავების პროცედურას და გადაჭრის პროცესს შევიწროებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე. ამ დოკუმენტის

72 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 15/05 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, op. cit., სქ. 6.

გარდა, არსებობს ქცევის კოდექსის, რომლის მიხედვითაც პარლამენტის ახალი დეპუტატები ხელს აწერენ სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ვალდებულებას და სექსუალური შევიწროების პრევენციის შესახებ ტრენინგის გავლა ევალებათ.[73] ქცევის კიდევ ერთი კოდექსი, რომელიც ეხება გენდერისა და პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს, მუშავდება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საარჩევნო კანონის ფარგლებში. იგი კრძალავს ისეთ საარჩევნო მასალებს, რომლებიც ქალებს ან მამაკაცებს წარმოადგენს სტერეოტიპული, შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფორმით და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სხვადასხვა სანქციებს ითვალისწინებს.[74]

პოლიტიკურ პარტიებს, როგორც როგორც პოლიტიკაში შესვლის კარიბჭესა და "დემოკრატიის გუშაგებს" სახელმწიფოსთან ერთად ეკისრებათ პასუხისმგებლობა ძალადობისგან თავისუფალი პოლიტიკური გარემოსა და ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.[75] შიდაპატრიული წესები შესაძლოა არეგულირებდეს ქცევას და ხელს უწყობდეს უფრო უსაფრთხო პოლიტიკური გარემოს შექმნას თითოეულ პოლიტიკურ პარტიაში. ზოგიერთ ქვეყანაში პარტიებმა გააერთიანეს ძალისხმევა და ერთობლივად აიღეს ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება. პოლიტიკურ პარტიებში და მათ მიღმა ქალების ზეწოლის, დაშინებისა და ჩაგვრისგან დასაცავად პრევენციული და უსაფრთხოების ზომების შემოღებასთან ერთად, პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიებს შეუძლიათ იმის უზრუნველყოფა, რომ ქალებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი პოლიტიკისა და კამპანიების დაფინანსებაზე, სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ადგილებსა და მედიაზე, ასევე, პარტიების დონორებსა და ქსელებზე, რაც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს ქალების წარმატების შანსებს პოლიტიკაში. ODIHR-ის ინსტრუმენტი პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ შეიცავს მაგალითებსა და სტრატეგიებს პოლიტიკური პარტიებისთვის.

ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და მხარდაჭერაზე მთავარი პასუხისმგებლობა სახელმწიფოებს ეკისრებათ. მათ უნდა „განახორციელონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებები ყველა მსხვერპლის ნებისმიერი შემდგომი

73 როსმარინ დე გოისი, ერინ ტოლი, ელიზაბეთ გუდიარ-გრანტი და პიტერ ჯონ ლოენი, *ქალები, ძალაუფლება და პოლიტიკური წარმომადგენლობა: კანადისა და შედარებითი პერსპექტივები* (2021, ტორონტოს უნივერსიტეტის გამომცემლობა).

74 კრუკი, „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა", op. cit., სქ. 12, გვ. 224-225.

75 „სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიების რეგულირების შესახებ, მეორე გამოცემა", ეუთო/ოდირი და ვენციის კომისია, 14 დეკემბერი, 2020, მე-2 პრინციპი: პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის ვალდებულება ითვალისწინებს, რომ „სახელმწიფომ სათანადოდ უზრუნველყოს ძალადობისგან პოლიტიკური პარტიების კანდიდატებისა და მხარდამჭერების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ჯგუფებს, ასოციაციებს ან ინდივიდებს უნდა ჰქონდეთ უფლება, გააკრიტიკონ პოლიტიკური პარტიები და/ან მათი შეხედულებები და გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ, დაუშვებელია ძალადობა ან ძალადობით დამუქრება". <https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)032-e>.

ძალადობისგან დასაცავად".[76] ვინაიდან მსხვერპლ ქალებს ხშირად არ მიუწვდებათ ხელი სამართლებრივ დაცვაზე, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „სრული, თანასწორი და დროული წვდომა მართლმსაჯულებასა და სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებებზე; სამედიცინო და სოციალური დახმარება, მათ შორის, გადაუდებელი დახმარება; კონფიდენციალური კონსულტაცია; თავშესაფარი; გენდერული ნიშნით ძალადობის კრიმინალიზაცია და სათანადო სამართლებრივი დაცვა, ასევე, მსხვერპლთა და მოწმეთა დროული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა".[77]

გარდა ამისა, ინსტიტუტებმა (პარლამენტებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, საარჩევნო ორგანოებმა და სხვ.) უნდა დანერგონ პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს რომ მსხვერპლი ინფორმირებული იქნება და ხელი მიუწვდება საჩივრების წარდგენის მექანიზმებსა და უსაფრთხოების ღონისძიებებზე (მაგ., უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ან სატრანსპორტო მომსახურება), დახმარებაზე (24 საათიანი სატელეფონო კავშირი, ფინანსური დახმარება, დახმარება სოცქსელების მართვაში), კონსულტაციასა მაგ., სპეციალურად გამოყოფილი სანდო პირი ან მსგავს ძალადობაგამოვლილთა ჯგუფი) და მხარდაჭერის სერვისებზე (მაგ., ფსიქოლოგიური დახმარება ან გაძლიერების სტრატეგიები), რაც უნდა იყოს კონფიდენციალური და პრიორიტეტულად განიხილავდეს მსხვერპლთა უფლებებსა და საჭიროებებს. ამ ტიპის ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერა უნდა მოხდეს სამართლებრივი დაცვის სათანადო ღონისძიებებისა და მხარდაჭერის სერვისების შეთავაზებითა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ODIHR-ის ინსტრუმენტი პოლიტიკაში მონაწილე და პოლიტიკაში მონაწილეობის მსურველი ქალებისთვის.

76 სტამბულის კონვენცია, *op. cit., სქ.27*, მუხლი 18.

77 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 15/05 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, *op. cit.,* სქ.6, მუხლი 4.

**დაცვის სტრატეგიები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში**

| საკანონმდებლო რეფორმა | ინსტიტუციური დაცვა | მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა |
|---|---|---|
| • კონკრეტული კანონები<br>• არსებული სისხლის სამართლის, სამოქალაქო/შრომითი და/ან საარჩევნო კოდექსების გაფართოება<br>• მოდელური კანონი სანიმუშოდ | • ქცევის კოდექსები (მაგ., პარლამენტებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის ან საარჩევნო ჩარჩოს ფარგლებში)<br>• ინდივიდუალური ან პარტიათაშორისი ვალდებულებები ძალადობის წინააღმდეგ<br>• განსაზღვრული გასაჩივრების მექანიზმები და რეაგირების პროტოკოლები | • ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, მათ შორის, გასაჩივრების მექანიზმებზე<br>• გადაუდებელი დახმარება და უსაფრთხოების ღონისძიებები<br>• მსხვერპლთა კოორდინირებული დახმარება, მათ შორის, სამედიცინო, სოციალური, სამართლებრივი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სხვა ტიპის დაცვა და მხარდაჭერა.<br>• მსხვერპლთა მხარდაჭერის ჯგუფები<br>• მოწმეთა დაცვის პროგრამები |

## სამართლებრივი დევნა

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ფართოდ გავრცელებულია და სულ უფრო მასშტაბური ხდება, თუმცა სამართლებრივი დევნის მაჩვენებლები არ შეესაბამება ამ პრობლემის მასშტაბს, რაც უპირატესად განპირობებულია მოცემული ფენომენის რთული და გენდერული ხასიათით, სათანადო სამართლებრივი დეფინიციისა და ღონისძიებების არარსებობითა და ხელისუფლების ორგანოების არასაკმარისი ინფორმირებულობით. თავის მხრივ, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს ხშირად აქვთ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, რომელიც მოიცავს შეტყობინებისა და გასაჩივრების პროცესში რევიქტიმიზაციას, დანაშაულის გამოძიებასა და დამნაშავეთა დევნაზე პასუხისმგებელი სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან წინააღმდეგობას, ასევე, არასაკმარის სამართლებრივ დაცვასა და არასაკმარის წვდომას ინტეგრირებულ სერვისებზე.[78]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოძიება და სამართლებრივი დევნა საკვანძო როლს ასრულებს დაუსჯელობის აღმოსაფხვრელად და პოლიტიკაში ქალების უსაფრთხო ჩართულობისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. მიუხედავად იმისა, მართლმსაჯულება

78 „ანგარიში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ", op. cit., სქ. 59.

ქალთა მიმართ ძალადობის მარეგულირებელ ახალ, კონკრეტულ კანონმდებლობას ეფუძნება თუ არსებულ, განვრცობილ კანონებს, აუცილებელია ეფექტური, დროული და მსხვერპლზე ორიენტირებული გამოძიების, სამართლებრივი დევნისა და სამართალწარმოების დანერგვა. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ნებისმიერი ტიპის ძალადობის შესახებ ყველა შეტყობინებას უნდა მოჰყვეს ხელისუფლების სწრაფი და სათანადო რეაგირება, მათ შორის, რისკის დაუყოვნებლივ შეფასება, დაცვის, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება და კოორდინირებული მხარდაჭერა.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში აუცილებელია ასევე სამართლებრივი დაცვის ისეთი ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა შემაკავებელი ან დამცავი ორდერები, თუმცა მათი გამოყენება შესაძლოა გართულდეს, განსაკუთრებით, ონლაინ ძალადობის შემთხვევაში, როცა შესაძლოა საჭირო გახდეს კოორდინირებული საპასუხო ღონისძიებები, მაგალითად, ვირტუალური შემაკავებელი ორდერების შემოსაღებად. თუ გავითვალისწინებთ სტიგმას, ტრავმასა და რეპუტაციასთან დაკავშირებულ რისკებს ქალების მიერ ძალადობის ფაქტების შეტყობინებისას, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის გარკვეული ფორმების გამოძიებისა თუ სამართლებრივი დევნისათვის აუცილებელი არ უნდა იყოს მსხვერპლის საჩივარი; შესაძლებელი უნდა იყოს საქმის აღძვრა მსხვერპლის სახელით, ასევე, საქმის გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი უკან გაიტანს განცხადებას ან საჩივარს.[79] თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობაში დამნაშავე პირები ხშირად თანაპარტიელი მამაკაცები არიან, ზემოაღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის ეფექტურობას, რაც შეამცირებს მსხვერპლის ტვირთს მართლმსაჯულების პროცესში.[80] სამართალდამცავი და სასამართლო უწყებების ცნობიერების ამაღლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური გამოძიებისა და სამართალწარმოებისათვის.

ამასთანავე, აუცილებელია ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი სანქციების გამოყენებით, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მისაღები ქცევის უფრო ფართო, საზოგადოებრივი სტანდარტის დასამკვიდრებლად. დადგენილი დამნაშავეებისთვის ადეკვატური სასჯელის შეუფარდებლობამ შესაძლოა სხვები წაახალისოს მსგავსი ძალადობის ჩასადენად. სამართლებრივი სანქციების გარდა, შესაძლებელია სხვა ტიპის სანქციების გამოყენებაც, მაგალითად, დამნაშავეების გაძევება პოლიტიკიდან, ინსტიტუტებიდან, ან სოციალური მედია პლატფორმებიდან, ასევე, მათთვის, როგორც საჯარო თანამდებობის პირებისთვის, იმუნიტეტის გაუქმება.

79 სტამბულის კონვენცია, *op. cit.*, *სქ.*27, მუხლი 44 და თავი VI.

80 "Not the Cost", NDI, *op. cit.*, სქ. 5.

მსხვერპლის მხარდაჭერა საკვანძო როლს ასრულებს ძალადობის ფაქტების შეტყობინებისა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემის თვალსაზრისით. ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მათ შორის, პოლიტიკაში ძალადობის, მსხვერპლი ქალები, ჩვეულებრივ, არ ლაპარაკობენ ამგვარი ძალადობის შემთხვევებზე, რადგან არ იციან თავიანთი უფლებები, არც მათთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ სმენიათ, ღელავენ საკუთარი ან ახლობლების უსაფრთხოების გამო და/ან აშინებთ რევიქტიმიზაციისა და პირადი ცხოვრების გასაჯაროების საფრთხე. ეს შიშები კიდევ უფრო ძლიერია პოლიტიკაში ჩართული ქალების შემთხვევაში, მათი პოლიტიკური საქმიანობის საჯარო ხასიათისა და საჯარო რეპუტაციის გამო. თავის მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა პირადი ცხოვრების დაცვა და სამართალწარმოების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. ამის გაკეთება შეიძლება, მაგალითად, სასამართლოში მსხვერპლთა მიერ დისტანციური ჩვენებების ახალი ტექნოლოგიებით მიცემის გზით.

**პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი დევნა**

| სამართლებრივი დევნა | სანქციები | მსხვერპლთა მხარდაჭერა |
|---|---|---|
| • სამართლებრივი საფუძველი (სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცედურები)<br>• ეფექტური, დროული და მსხვერპლზე ორიენტირებული გამოძიება და სამართლებრივი დევნა<br>• რისკების შეფასება და მართვა<br>• სამართლებრივი დაცვის ღონისძიებები<br>• უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის კოორდინირებული ღონისძიებები<br>• სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების განათლება | • ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი სანქციები<br>• დამნაშავეთა გაძევება პოლიტიკიდან, ინსტიტუტებიდან, სოციალური მედიიდან<br>• იმუნიტეტის მოხსნა<br>• კომპენსაცია მსხვერპლთათვის | • ინფორმაციის მიღების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალობის უფლება<br>• გასაჩივრებისა და რეფერალური მექანიზმების ხელმისაწვდომობა<br>• უფასო იურიდიული დახმარება<br>• მსხვერპლთა დაცვა |

## კოორდინირებული პოლიტიკა

ბრძოლა ისეთ რთულ და გავრცელებულ მოვლენასთან, როგორიცაა ქალთა, მათ შორის, პოლიტიკაში მონაწილე ქალთა მიმართ ძალადობა, სამთავრობო და არასამთავრობო აქტორთა ერთიან და კოორდინირებულ რეაგირებას მოითხოვს. ეფექტური და ინოვაციური გადაჭრის გზების საპოვნელად მნიშვნელოვანია მუშაობა ხელისუფლების ყველა სექტორში, მათ შორის, საკანონმდებლო, პოლიტიკურ, სამართალდამცავ და სასამართლო დონეზე, ასევე, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ყველა სფეროსა და ყველა დონეზე. მსხვერპლთა უფლებებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გასათვალისწინებლად და ძალადობის სათანადო პრევენციისა და სამართლებრივი დევნისათვის, აუცილებელია, არსებობდეს კოორდინირებული პოლიტიკა და სტრატეგიები, რომლებიც ჰოლისტურად და კომპლექსურად განხორციელდება. ამასთანავე, მიზანშეწონილია, განისაზღვროს ერთი მაკოორდინირებელი ორგანო, რათა გამარტივდეს ინფორმაციის გაცვლა, ვალდებულებების კოორდინირება და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა. დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გამოყონ საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები სათანადო ერთობლივი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო ორგანიზაციებს შეუძლიათ ცნობიერების ამაღლება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ და როგორც წესი, ძირითადად, სწორედ ისინი სთავაზობენ ძალადობის მსხვერპლ ქალებს მსხვერპლზე ორიენტირებულ მხარდაჭერის სერვისებს. ეს ორგანიზაციები ეწევიან საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირებას, გამოდიან ქმედებისკენ მოწოდებებით და მსხვერპლებს სთავაზობენ სასწრაფო დახმარებასა და თავშესაფარს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა ორგანიზაციების აქტიურობა, რადგან მათი საქმიანობა სწორედ ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხებზეა ფოკუსირებული და ამ მიმართულებით მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვთ. აუცილებელია მათი ძალისხმევის აღიარება, მხარდაჭერა და სისტემური თანამშრომლობის ჩამოყალიბება. ODIHR-ის ინსტრუმენტი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლის შესახებ მოიცავს ყოვლისმომცველი სტრატეგიების მაგალითებს, რომელთა გამოყენებაც სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს შეუძლიათ.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმისა და გამოხატულების წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლისათვის მნიშვნელოვანია არატრადიციულ აქტორებთან თანამშრომლობაც, განსაკუთრებით, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მათ შორის, ონლაინ სივრცეში ძალადობის შემთხვევებში. აქ მოიაზრება პარტნიორობა მედიასთან, აკადემიურ დაწესებულებებთან და ინტერნეტისა და სოციალური მედიის პროვაიდერებთან, რათა მიღებულ იქნას ინოვაციური გადაწყვეტილებები ცნობიერების ამაღლების, მონაცემთა შეგროვებისა და დაცვის კუთხით. მედიას შეუძლია, საკვანძო როლი

შეასრულოს პოლიტიკაში ქალების ძალადობისგან თავისუფალი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და თემები გააშუქოს იმ გენდერული სტერეოტიპების გარეშე, რომელთა მიზანია პოლიტიკაში ქალების კომპეტენციის დისკრედიტაცია. სოციალური მედიის პროვაიდერების როლი მნიშვნელოვანია, როგორც ონლაინ ადვოკატირებისთვის, ისე ონლაინ ძალადობის რთული პრობლემის გადასაჭრელად.

**კოორდინირებული პოლიტიკა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად**

## პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია – თითოეული მხარის

| კოორდინირებული რეაგირება | სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა | პარტნიორობები |
|---|---|---|
| • კოორდინირებული პოლიტიკა სექტორებსა და ინსტიტუტებს შორის (მაგ., მონაცემთა შეგროვების კუთხით)<br>• ჰოლისტური და კომპლექსური მიდგომა<br>• მსხვერპლზე ფოკუსირებული ერთობლივი ძალისხმევა<br>• მაკოორდინირებელი ორგანო<br>• ფინანსური და ადამიანური რესურსები | • ადვოკატირების ერთობლივად წარმართვა<br>• მსხვერპლთა მხარდაჭერის ინტეგრირებული სერვისები (მაგ., მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების ერთ სივრცეში თავმოყრა )<br>• სისტემური კოორდინაცია | • მედია<br>• ინტერნეტისა და სოციალური მედიის პროვაიდერები<br>• აკადემიური დაწესებულებები<br>• მამაკაცები და ბიჭები |

## როლი

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობა ძირითადად სახელმწიფოებსა და მათ სხვადასხვა ინსტიტუტებს ეკისრებათ, თუმცა ეს პროცესი ჩვენით იწყება. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა, აბრკოლებს ქალების პოლიტიკაში მონაწილეობას და საფრთხეს უქმნის დემოკრატიას. ამ პრობლემის გადაუჭრელობა ნიშნავს, რომ ქალებს, რომლებიც მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, შესაძლებლობა არ ეძლევათ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიიღონ მონაწილეობა, რაც თითოეულ ჩვენგანს ეხება. ჩვენ, ყველამ, ინდივიდუალურად და კოლექტიურად, ჩვენი როლი

უნდა ვითამაშოთ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ქალებისა და მამაკაცებისთვის ძალადობისგან თავისუფალი პოლიტიკური გარემოს უზრუნველსაყოფად. ეს, თავის მხრივ, გააუმჯობესებს ჩვენს კანონებსა და პოლიტიკას, ჩვენს ოჯახებსა და საზოგადოებებს, ჩვენს დემოკრატიას და ხელს შეუწყობს მშვიდობასა და უსაფრთხოებას ეუთოს რეგიონში.

თანამშრომლობით, პარტნიორობითა და კოორდინირებული პოლიტიკით შესაძლებელია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა. კანონმდებლებმა, სასამართლომ, პროკურატურამ, სამართალდამცავმა ორგანოებმა, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა და პოლიტიკოსებმა, ქალებმა და მამაკაცებმა, სამოქალო საზოგადოებამ, აკადემიურმა დაწესებულებებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სხვებმა უნდა გააერთიანონ ძალისხმევა და ითანამშრომლონ, რათა საერთო გადაწყვეტილებები, კანონები და პოლიტიკა შეიმუშაონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ეფექტური პრევენციისთვის, ძალადობისგან დაზარალებულთა დასაცავად და დაუსჯელობის აღმოსაფხვრელად. სფეროების, ქვეყნების, პარტიების, პოლიტიკური მიმართულებებისა თუ სხვა განსხვავებების მიუხედავად თანამშრობლობა საშუალებას მოგვცემს, არა საკუთარ სახელსა თუ ლოგოზე ვფოკუსირდეთ, არამედ ვიმუშაოთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებმა და მამაკაცებმა, ბიჭებმა და გოგონებმა ძალადობისგან თავისუფალ გარემოში იცხოვრონ, შეძლონ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, პოლიტიკაში მონაწილეობა და მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები ყველას სასიკეთოდ.

# დამატებითი საკითხავი და გამოყენებული ლიტერატურა


Ballington, Julie. 2018. Turning the Tide on Violence against Women in Politics: How Are We Measuring Up? <https://www.cambridge.org/core/journals/politics-and-gender/article/turning-the-tide-on-violence-against-women-in-politics-how-are-we-measuring-up/BDE60029419C30C96ACE14BAB8C49E10>.

Bolivia. 2012. Law No. 243 on Harassment and Political Violence against Women. https://www.comunicacion.gob.bo/sites/default/files/docs/Ley%20N%C2%BA243%20Contra%20el%20Acoso%20y%20Violencia%20Politica%20hacia%20las%20Mujeres.pdf

Bardall, Gabrielle, Bjarnegård, Elin and Piscopo, Jennifer. 2019. How is Political Violence Gendered? Disentangling Motives, Forms, and Impacts in *Political Studies*. Volume: 68 issue: 4, page(s): 916-935 <https://doi.org/10.1177/0032321719881>.

Council of Europe. 2011. Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention). <https://rm.coe.int/168008482e>.

Institute of Public Affairs, Poland. 2021. *„... It has become so pervasive that I keep forgetting about it"*. Violence against women on the Polish political scene. <https://www.isp.org.pl/en/publications/it-has-become-so-pervasive-that-i-keep-forgetting-about-it-violence-against-women-on-the-polish-political-scene>.

Inter-Parliamentary Union (IPU) and Council of Europe (CoE). 2018. Sexism, harassment and violence against women in parliaments in Europe. Sexism, harassment and violence against women in parliaments in Europe <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2018-10/sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliaments-in-europe>.

International Labour Organisation. 2019. Convention Concerning the Elimination of Violence and Harassment in the World of Work. <https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C190>.

Kishi Roudabeh, Armed Conflict Location & Event Data Project (ACLED). 2021. Violence targeting women in politics: Trends in targets, types and perpetrators of political violence. Accessed 31 March 2022. <https://acleddata.com/2021/12/08/violence-targeting-women-in-politics-trends-in-targets-types-and-perpetrators-of-political-violence/>.

Krook, Mona Lena and Restrepo Sanín, Juliana. 2016. Gender and Political Violence in Latin America: Concepts, debates and solutions. <https://www.scielo.org.mx/scielo.php?pid=S1665-20372016000100127&script=sci_arttext&tlng=en>.

Krook, Mona Lena. 2020. Violence against Women in Politics.

Kuperberg, Rebecca. 2018. Intersectional Violence against Women in Politics. <https://www.cambridge.org/core/journals/politics-and-gender/article/intersectional-violence-against-women-in-politics/857778003CD6AB6448FC30DBC1F34416>.

National Democratic Institute (NDI). 2016. #NotTheCost: Stopping Violence against Women in Politics: Program Guidance. "https://www.ndi.org/sites/default/files/not-the-cost-program-guidance-final.pdf"

National Democratic Institute (NDI). 2018. Not the Cost: Stopping Violence Against Women in Politics, A Renewed Call to Action. "https://www.ndi.org/publications/notthecost-stopping-violence-against-women-politics-renewed-call-action"

National Democratic Institute. 2018. No Party to Violence: Analyzing Violence against Women in Political Parties. <https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C190>.

Organization of American States. 2017. Inter-American Model Law on the Prevention, Punishment and Eradication of Violence against Women in Political Life. <https://www.oas.org/en/mesecvi/docs/LeyModeloViolenciaPolitica-EN.pdf>.

OSCE. 2005. Ministerial Council Decision 15/05 on Preventing and Combating Violence Against Women. <https://www.osce.org/files/f/documents/c/8/17451.pdf>.

OSCE. 2014. Ministerial Council Decision 14/04: OSCE Action Plan for the Promotion of Gender Equality. <https://www.osce.org/files/f/documents/7/d/23295.pdf>."

OSCE. 2018. Ministerial Council Decision 4/18 on Preventing and Combating Violence Against Women. <https://www.osce.org/files/f/documents/e/e/406019.pdf>.

OSCE. 2020. Preventing and combating violence against women in the OSCE region: Discussion Paper for the 2020 Gender Equality Review Conference. <https://www.osce.org/files/f/documents/1/9/483449.pdf>.

OSCE. 2021. Report on Gender-based Violence against Women Politicians in Serbia. <https://www.osce.org/files/f/documents/5/2/500611_0.pdf>.

OSCE Parliamentary Assembly's Special Representative on Gender Issues. 2021. Violence against Women Journalists and Politicians: A Growing Crisis. <https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/4247-2021-report-by-the-special-representative-on-gender-issues-violence-against-women-journalists-and-politicians-a-growing-crisis/file>.

OSCE Representative on Freedom of the Media. 2018. Safety of Female Journalists Online: A #SOFJO Resource Guide. <https://www.osce.org/files/f/documents/2/9/468861_0.pdf>.

UN Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences. 2018. Report on violence against women in politics. <https://digitallibrary.un.org/record/1640483?ln=en>.

UN Women. 2021. Guidance Note: Preventing Violence against Women in Politics. <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2021/Guidance-note-Preventing-violence-against-women-in-politics-en.pdf>.

SCAN ME

Office for Democratic Institutions and Human Rights

OSCE ODIHR